პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 40-ე წელი | № 298 (11604) | ოთხშაბათი, 23 დეკემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

## 22 დეკემბერს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას შეუდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

**1959** წლის 22 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება (სკკპ XXI ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1958 წ.) პლენუმის იმ გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებანი, რომლებითაც გათვალისწინებულია მიწათმოქმედების აღმავლობა და მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ბამბისა და სხვა ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და მემცენარეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდება; საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება და ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდება; კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კადრებით განმტკიცება; სოფლის მეურნეობის შემდგომი მექანიზაცია, შრომის ნაყოფიერების გადიდება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება; კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცება და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება) — მოხსენებანი: რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის.

დილის სხდომაზე ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა მოხსენებანი: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. დ. ს. პოლიანსკისა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ვ. პოდგორნისა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ი. ბელიაევისა.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. კ. ტ. მაზუროვისა და უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. შ. რ. რაშიდოვისა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოწვეული არიან საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები, რომლებიც არ არიან ცენტრალური კომიტეტის წევრები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების მდივნები, რომლებიც განაგებენ სოფლის მეურნეობას, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების სასოფლო-სამეურნეო განყოფილებათა გამგეები, პარტიის რაიკომების ზოგიერთი მდივნები; მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეები სოფლის მეურნეობის დარგში, სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მინისტრები, სოფლის მეურნეობის სამხარეო, საოლქო სამმართველოების უფროსები, მოკავშირე რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის მინისტრები, საბჭოთა მეურნეობების ტრესტებისა და საბჭოთა მეურნეობების ზოგიერთი დირექტორები; მეცნიერები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები; ტრაქტორმშენებლობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროების უფროსები და მთავარი კონსტრუქტორები და ქარხნების მთავარი ინჟინრები, სატრაქტორო ქარხნების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის წამყვანი ქარხნების დირექტორები და მთავარი ინჟინრები; სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ხელმძღვანელები და სამინისტროთა და ცენტრალურ უწყებათა სხვა ხელმძღვანელი მუშაკები; ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები; სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

22 დეკემბერს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა.**

პლენუმის განსახილველად დასმულია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხი — სკკპ XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1958 წ.) პლენუმის იმ გადაწყვეტილებების შესრულების ღონისძიებათა შესახებ, რომლებითაც გათვალისწინებულია მიწათმოქმედების აღმავლობა და მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ბამბისა და სხვა ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და მემცენარეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდება, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება და ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კადრებით განმტკიცება, სოფლის მეურნეობის შემდგომი მექანიზაცია, შრომის ნაყოფიერების გადიდება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცება და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების მდივნები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერები, სამრეწველო საწარმოთა წარმომადგენლები.

პირველმა გააკეთა მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **დ. ს. პოლიანსკიმ.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად დასმულ საკითხს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდების შესახებ, ამბობს ამხ. პოლიანსკი, უდიდესი სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

კომუნისტური მშენებლობის პროგრამაში, შვიდწლიანი გეგმის ციფრებში, რომლებიც სკკპ XXI ყრილობამ მიიღო, განსაკუთრებით დიდი ყურადღება აქვს დათმობილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის ზრდას, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განმტკიცებას.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, მიუხედავად მიმდინარე წლის არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, სახელმწიფოს მიჰყიდეს უკანასკნელი ხუთი წლის საშუალო წლიურ მოცულობაზე მეტი პური. შაქრის ჭარხალი დამზადებულია სამჯერ მეტი, ვიდრე ამ კულტურის მოსავლიან 1954 წელს. კარტოფილისა და ბოსტნეულის, საბოჭკოე სელის, ხილისა და ყურძნის შესყიდვა შარშანდელს აღემატება თავისი დონით.

რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა.

ამასთან ბევრი ოლქის, მხარისა და ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჯერ კიდევ ვერ დაამყარეს ჯეროვანი წესრიგი მიწათმოქმედებაში. ისინი არღვევენ აგროტექნიკას, შეაქვთ ცოტა სასუქი, ცუდად ამუშავებენ ნიადაგს, ვერ ასრულებენ მზრალად და ანეულის ხვნის გეგმებს. ამ მეურნეობებში აჭიანურებენ თესვის ვადებს, დროზე არ უვლიან ნათესებს, სათანადოდ არ ებრძვიან სარეველებს, აგვიანებენ მოსავლის აღებას. სწორედ ამიტომ მათი მოსავალი მცირე და არამყარია.

წინანდებურადვე არ აქცევენ სათანადო ყურადღებას მარცვლის წარმოებას არაშავნიადაგიანი ზონის რაიონები, განსაკუთრებით ვოლოგდის, ნოვგოროდის, პსკოვის, კოსტრომისა და იაროსლავლის ოლქებში. მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდების დიდი რეზერვებია ფედერაციის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

მომხსენებელი ეხება მარცვლეულის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანებს და ლაპარაკობს მარცვლეულის მოსავლის გადიდების გამოუყენებელ რეზერვებზე. დასახულია რესპუბლიკაში განხორციელდეს მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი. გადაწყდა ურალის, ვოლგისპირეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის რაიონებში ათვისებულ იქნას მილიონობით ჰექტარი ახალი მიწები, რაც შესაძლებელს გახდის გაფართოვდეს მარცვლეული კულტურების ნათესები და დამატებით მიღებულ იქნას 500-600 მილიონი ფუთი პური. ჩრდილო-დასავლეთის რაიონებში და ცენტრალურ არაშავნიადაგიან ზონაში ჩაღდება მუშაობა მიტოვებული და დაჭაობებული მიწების ათვისებისათვის.

შეიცვლება სათესი ფართობების სტრუქტურა. გადაწყდა რამდენიმე მილიონი ჰექტარით შემცირდეს ნაკლებმოსავლიანი კულტურების ნათესები და გადიდდეს სიმინდის ფართობები, რომელიც ყველაზე უხვმოსავლიანი, ყველაზე ხელსაყრელი, ყველაზე შემოსავლიანი კულტურაა. ამ კულტურის ნათესები აყვანილ იქნება 20 მილიონ ჰექტარამდე, ნაცვლად შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული 13 მილიონი ჰექტარისა.

გათვალისწინებულია ყველა რაიონში, გარდა მეტად გვალვიანი რაიონებისა, სუფთა ანეულის ნაცვლად შემოვიღოთ მოთესილი ანეული.

სამხრეთი რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გამოიყენებენ განმეორებით თესვას, რაც იძლევა წელიწადში ორი მოსავლის აღების შესაძლებლობას.

მარცვლეულის წარმოების გადიდების უმნიშვნელოვანესი რეზერვია მიწის დამუშავების გაუმჯობესება, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება, სწორი თესლბრუნვების შემოღება. ახლა დასმულია ამოცანა უკლებლივ ყველა მეურნეობაში უახლოეს ორ წელიწადში დაითესოს მხოლოდ ჯიშიანი თესლი.

მიწათმოქმედების კულტურის აღმავლობის ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება შესაძლებლობას მისცემს რუსეთის ფედერაციას, ამინდის პირობების მიუხედავად, მიიღოს უხვი და მყარი მოსავალი, მარცვლეული კულტურების გარანტირებული საერთო მოსავალი.

ამხ. პოლიანსკი ამბობს, რომ რესპუბლიკაში უკანასკნელ ორ წელიწადში შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობები გადიდდა ერთიორად და ამჟამად შეადგენს 1,2 მილიონ ჰექტარს. დასმულია ამოცანა შაქრის ჭარხლის საერთო მოსავლისა და შაქრის წარმოების შვიდწლიანი გეგმა შესრულდეს 1963 წელს. გათვალისწინებულია შაქრის წარმოების მეორე ბაზა შეიქმნას ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს საბოჭკოე სელის წარმოების გადიდების, კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესების გარკვეულ მეურნეობებში კონცენტრაციის, ბაღებისა და ვენახების ფართობის გადიდების, აგრეთვე ხილ-კენკრის ნარგავების გადიდების ღონისძიებებზე.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა, ამბობს შემდეგ ამხ. პოლიანსკი, ენიჭება ამჟამად მეცხოველეობის განვითარებას. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1959 წლის 11 თვეში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით ხორცის წარმოება გაადიდეს 35 პროცენტით, რძისა — 13, მატყლისა — 15 და კვერცხისა — 27 პროცენტით. 20 დეკემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 4,2 მილიონი ტონა ხორცი, ანუ 1.244 ტონით მეტი, ვიდრე შარშან.

რიაზანელმა მეცხოველეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს სამჯერ მეტი ხორცი, ვიდრე შარშან. ამასთან მათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაადიდეს ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის სულადობა. ზრდა მართლაც უმაგალითოა. იგი მოწმობს გასაოცარ სიმტკიცესა და ბეჯითობას დასახული მიზნის მიღწევაში. რიაზანელთა გამარჯვება საქმისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ნიმუშია.

ვალდებულებათა შესრულების შესანიშნავი მაგალითი გვიჩვენეს ტამბოვის ოლქის მიჩურინსკის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, სადაც თავმჯდომარეა ე. ი. ანდრეევა. 1953 წელთან შედარებით იქ ხორცის წარმოება გადიდდა 40-ჯერ, რძისა — თითქმის ერთისამად, კვერცხისა — 5-ჯერ. ჩუვაშეთის ასსრ ვურნარის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარეა ს. კ. კოროტკოვი, წელს სახელმწიფოს მიჰყიდა 6-ჯერ მეტი ხორცი და ორნახევარჯერ მეტი რძე, ვიდრე გათვალისწინებული იყო წლიური გეგმით.

ჩვენ ცოტა მიღწევები როდი გვაქვს, მაგრამ წლევანდელი წლის შედეგები შეიძლებოდა გაცილებით უკეთესი ყოფილიყო, ყველგან რომ სათანადო დაძაბვით ემუშავნათ. განსაკუთრებით ცუდად არის ორგანიზებული მუშაობა ბრიანსკის, ორიოლის ოლქებში და მორდვეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. აქ კარგი ვალდებულებანი იკისრეს, მაგრამ მუშაობა მათი შესრულებისათვის არ მოუწყვიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ოლქის ხელმძღვანელები შეურიგდნენ ნაკლოვანებებს, არ ცდილობენ ჩასწვდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო ცხოვრებას. ეს იწვევს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საქმიანობის შესუსტებას, წარმოშობს უპასუხისმგებლობას და საკუთარი ძალებისადმი ურწმუნობას. მუშაობის ასეთი არასწორი სტილი გადაჭრით უნდა იქნას დაგმობილი.

რუსეთის ფედერაციას, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების დიდი რეზერვები მოეპოვება. ერთი მათგანი, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდიც კი, არის მეცხოველეობის განვითარება ყამირი მიწების ათვისების რაიონებში. ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ ეს ჩვენი მეორე ყამირია. და ეს ჭეშმარიტად ასეა.

ხორცის პროდუქციის გადიდებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მეფრინველეობამ. შვიდწლედის მანძილზე რესპუბლიკაში დიდი მასშტაბით გაჩაღდება სახორცე წიწილების (ბროილერების) გაზრდა მთელი წლის განმავლობაში. მიღებულია აგრეთვე ღონისძიებანი მეკურდღლეობის ფართოდ განვითარებისათვის.

დიდი შესაძლებლობები აქვს რესპუბლიკას აგრეთვე რძის წარმოების შემდგომი ზრდისათვის. ამის გადამწყვეტი პირობაა ძროხის სულადობის გადიდება, აგრეთვე მისი სარძეო პროდუქტიულობისა და რძის ცხიმიანობის გადიდება.

რუსეთის ფედერაციას სრული შესაძლებლობა აქვს ვადამდე, 5-6 წელიწადში, შეასრულოს შვიდწლედის დავალება რძის წარმოების დარგში, აიყვანოს მისი საერთო წარმოება 55 მილიონ ტონამდე, ესე იგი 1958 წელთან შედარებით გაადიდოს 1,7-ჯერ.

შემდგომ განვითარდება მეცხვარეობა. ჩვენ შევძლებთ წლითიწლობით სულ უფრო მეტად და უკეთ დავაკმაყოფილოთ ჩვენი ხალხის გადიდებული მოთხოვნილება შალის კარგ ქსოვილებზე.

მთავარი საკითხი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში არის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. იგი განმტკიცდება, უწინარეს ყოვლისა, სიმინდის ნათესების გაფართოების გზით. ამავე დროს ისმება ამოცანა სულ უფრო მეტი ვაწარმოოთ ცილებით მდიდარი საკვები. ამ მიზნით გათვალისწინებულია გავაფართოოთ სამყურას, იონჯის, ესპარცეტის, ცერცველის, ხანჭკოლისა და პარკოსანთა ნარევის ნათესები.

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, ამბობს მომხსენებელი, რომ ჩვენ ვითვალისწინებთ ხორცის წარმოების შვიდწლიანი გეგმის დავალება შევასრულოთ 5 წელიწადში. ამასთან კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს თავიანთი თავდადებული შრომით არსებითი შესწორებანი შეაქვთ ამ ვარაუდებში. რიაზანის, სვერდლოვსკის ოლქების, თათრეთის ასს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს შვიდწლიანი გეგმა მეცხოველეობის პროდუქტების ძირითად სახეობათა წარმოების მხრივ ორ-სამ წელიწადში შეასრულონ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარება დაბეჯითებით მოითხოვს მისი ტექნიკური დონის ამაღლებას, სოფლის ელექტროფიკაციის დამთავრებას. გათვალისწინებულია შვიდწლედის განმავლობაში დამთავრდეს ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ელექტროფიკაცია.

ახლა ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, გავაძლიეროთ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ისეთი ახალი ტექნიკით აღჭურვის ტემპი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს კომპლექსური მექანიზაცია.

დიდი ამოცანებია გადასაჭრელი კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობის — კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ამ საფუძვლის შემდგომი განვითარებისათვის. ახლანდელ შვიდწლედში საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო მშენებლობისათვის გათვალისწინებულია დაიხარჯოს ორას მილიარდ მანეთზე მეტი. აიგება ხუთ მილიონზე მეტი საცხოვრებელი სახლი — თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე წარსულ შვიდ წელიწადში. საჭიროა გავაფართოოთ საკოლმეურნეო ფურნეების, სასადილოების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა დაწესებულებათა ქსელი, რომლებიც შრომას უმსუბუქებენ კოლმეურნეებს, განსაკუთრებით კოლმეურნე ქალებს, და საშუალებას აძლევენ მათ მეტი ყურადღება დაუთმონ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების შემდგომი წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება წარმოებასთან მეცნიერების კავშირის გაფართოებასა და განმტკიცებას. ყველა ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაცია, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები ვალდებული არიან ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დახმარება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებაში, სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებაში.

რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, ყველა მშრომელის სახელით ამხ. პოლი-

(დასასრული მე-2 გვ.)

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილენი სსრ კავშირის დიდ თეატრში

22 დეკემბერს სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა მესამე წარმოდგენა ს. პროკოფიევის ოპერისა „ომი და მშვიდობა“.

ეს არის დიდი პატრიოტული ჟღერადობის სპექტაკლი, რომლის მუსიკაში მოხდენილად შერწყმულია ლ. ტოლსტოის ეპოპეის მთავარ გმირთა ლირიკული ხაზი სახალხო ომის ამაღელვებელ სურათებთან, უბრალო რუს ადამიანთა სამართლიან გულისწყრომასთან, რომლებმაც განდევნეს მშობლიური მიწა-წყლიდან ევროპის „ათორმეტ ენათა“ შემოსევა. ოპერა მხურვალედ მიიღეს მოსკოველებმა.

სსრ კავშირის დიდ თეატრში სპექტაკლს დაესწრნენ ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ა. ი. მიქოიანი. ნ. ა. მუხიტდინოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, დ. ს. კოროტჩენკო. ი. ე. კალნბერზინი, ვ. პ. მჟავანაძე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილენი და სტუმრები.

ორკესტრის (დირიჟორი ა. მელიქ-ფაშაევი) და გუნდის (ხორმეისტერები ა. რიბნოვი და ა. ხაზანოვი) დიდებულმა ჟღერადობამ, ცენტრალური პარტიების შემსრულებელთა — გ. ვიშნევსკაიას, ე. კიბკალოს, ვ. პეტროვის, ა. კრივჩენის, პ. ლისიციანისა და სხვათა ოსტატობამ, ბ. პოკროვსკისა და ვ. რინდინის ჩინებულმა რეჟისორულმა ნამუშევარმა ყველა დამსწრის მხურვალე მოწონება დაიმსახურა. (საკდესი).

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## მწერალ ი. ბ. აბაშიძის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მწერალ ი. ბ. აბაშიძის დაბადების მეორმოცდაათე წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. ირაკლი ბესარიონის-ძე **აბაშიძე დაჯილდოებულ** იქნას **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**

**კ. ვოროშილოვი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**

**მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1959 წლის 22 დეკემბერი.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(დასასრული)

ანსკიმ აღუთქვა პლენუმს, რომ რუსეთის ფედერაციის ხალხები, მჭიდროდ დარაზმულნი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ შვიდწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში, ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

შემდეგ მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. ვ. პოდგორნიმ.** რესპუბლიკის მშრომელებმა, თქვა მან, გამოიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრეს ვალდებულება — მრეწველობის შვიდწლიანი გეგმა შეასრულონ ხუთ-ექვს წელიწადში, სოფლის მეურნეობისა — ხუთ წელიწადში.

ამხ. პოდგორნი ამბობს, რომ უკრაინაში სერიოზული ცვლილებები მოხდა კადრების განაწილებაში. 15 ათასზე მეტი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი გაიგზავნა ამ უკანასკნელ წლებში ხელმძღვანელ სამუშაოზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. კადრებით განმტკიცდა რაიონული რგოლი. გაიზარდნენ და განმტკიცდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ახლა ყველა კოლმეურნეობაშია.

დაახასიათა რა უკრაინის მშრომელთა მუშაობის შედეგები შვიდწლედის პირველ წელს, ამხ. პოდგორნიმ აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება რესპუბლიკაში მიმდინარეობს ისეთ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს შვიდწლედის შესრულებას ხუთ წელიწადში. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მიმდინარე წელს კლიმატური პირობები არ იყო ხელსაყრელი და ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსავლიანობაზე.

მთავარი ხაზი მიწათმოქმედებაში უახლოეს წლებში, ამბობს მომხსენებელი, კვლავ არის ის, რომ ყოველი ღონისძიებით გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება, რომელიც მთელი სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველია. ამისათვის საჭიროა განუხრელად გავადიდოთ მოსავლიანობა, უკეთ გამოვიყენოთ მიწა, დავნერგოთ მოწინავე აგროტექნიკა, მცირემოსავლიანი კულტურები შევცვალოთ უხვმოსავლიანით და, უწინარეს ყოვლისა, სიმინდით.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს ღონისძიებებზე, რომლებიც რესპუბლიკაში ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ბ ა შვიდწლედის დავალებათა ხუთ წელიწადში შესრულებისათვის. უკრაინის კომუნისტური პარტია ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად ისახავს აღმოფხვრას უახლოესი წლების განმავლობაში მოსავლიანობის სიჭრელე, უზრუნველყოს უხვი და მყარი მოსავლის მიღება ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა მეთესლეობის გაუმჯობესებას.

მარცვლეულისა და საკვების საერთო მოსავლის გადიდების მეტად მნიშვნელოვანი რეზერვია ყველაზე მოსავლიანი და ძვირფასი კულტურების ნათესების გ ა ფ ა რ თ ო ე ბ ა მცირემოსავლიანი კულტურების ნათესების შემცირების გზით. ამიტომ მნიშვნელოვნად გადიდდა სიმინდის ნათესები, რომლებიც წელს შეადგენდნენ 7,7 მილიონ ჰექტარს 1953 წლის 2 მილიონ ჰექტართან შედარებით. წყდება ამოცანა — სიმინდის მარცვლის საშუალო მოსავლიანობა ავიყვანოთ 30-40 ცენტნერამდე ჰექტარზე, ტაროიანი მწვანე მასისა — 500-700 ცენტნერამდე ჰექტარზე, ხოლო სამხრეთ რაიონებში, სადაც ტენი საკმაო არ არის, — 300-400 ცენტნერამდე ჰექტარზე.

რესპუბლიკის მექანიზატორებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი ამხ. მანუკოვსკის ბრიგადის თაოსნობას კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის შესახებ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში.

1963 წელს, განაცხადა შემდეგ ამხ. პოდგორნიმ, უკრაინამ შაქრის ჭარხლის მოსავალი უნდა მიიღოს 40 მილიონი ტონა. ამისათვის საჭიროა გაადიდოს ნათესი ფართობები, აიყვანოს 1 მილიონ 660 ათას ჰექტარამდე, მნიშვნელოვნად გაადიდოს მოსავლიანობა. მეჭარხლეობაში ძირითადი საკითხია ისეთ შრომატევად სამუშაოთა შემდგომი მექანიზაცია, როგორიც არის ნათესების მოვლა და მოსავლის აღება. სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის დიდ პერსპექტივებს სახავს ერთთესლიანი შაქრის ჭარხლის თესვა, რაც მსოფლიოში პირველად შექმნეს ჩვენმა სელექციონერებმა და ფართოდ ინერგება წარმოებაში.

მომხსენებელმა განაცხადა აგრეთვე, რომ უკრაინის სს რესპუბლიკაში დიდდება ბაღებისა და ვენახების ფართობები, იზრდება მათი მოსავლიანობა. რესპუბლიკა ხდება ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი წამყვანი რესპუბლიკა ხილისა და ყურძნის წარმოების მხრივ.

ამხ. პოდგორნი შეეხო საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1963 წელს დასახულია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აყვანილ იქნას 59 სულამდე, აქედან ძროხისა — 22-25 სულამდე, ღორისა — 70 სულამდე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხორცზე მოსახლეობის მოთხოვნილების უსწრაფესი დაკმაყოფილების გადაუდებელი ამოცანა, რომელიც პარტიამ დასახა, წყდება უწინარეს ყოვლისა, მეღორეობის დაჩქარებული განვითარების გზით. წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაასუქეს დაახლოებით 7 მილიონი სული ღორი — 24 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან, და მოვაჭრე ორგანიზაციებმა გაასუქეს დაახლოებით ერთი მილიონი სული. 1960 წელს ღორების გასუქება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აყვანილ იქნება 12—13 მილიონ სულამდე და მოვაჭრე ორგანიზაციებში ერთნახევარ მილიონ სულამდე, ხოლო 1963 წელს — 22—25 მილიონ სულამდე.

ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანა, განაგრძო მომხსენებელმა, იყო და არის მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის ამოცანა. ხორცისა და რძის წარმოების დასახულ დონეს რომ მივაღწიოთ, საჭიროა ერთიორად და მეტად გავადიდოთ საკვების წარმოება. აქაც მთავარი როლი კვლავ ეკუთვნის სიმინდს. წელს უკრაინაში ჩადებულია 50 მილიონი ტონა სილოსი. დასახულია უახლოეს ორ-სამ წელიწადში მისი ჩადება აყვანილ იქნას ას მილიონ ტონამდე.

მოხსენების დასკვნით ნაწილში ნ. ვ. პოდგორნიმ ილაპარაკა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების გადიდებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მან დაასახელა სოფლის მეურნეობის მოწინავეები, რომლებმაც გვიჩვენეს მაღალნაყოფიერი შრომის შესანიშნავი ნიმუშები. სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგები, აღნიშნა მომხსენებელმა, ჯერ კიდევ სუსტად არის მექანიზებული. ამიტომ დიდია ხელის შრომის დანახარჯი, რაც პროდუქციის და განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქციის მაღალი თვითღირებულების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

პირუტყვის სულადობის სწრაფი გადიდება მოითხოვს მექანიზაციის დონის გადაჭრით ამაღლებას. უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაუდებელ ამოცანად დასახა 1963 წლამდე უზრუნველყოს კომპლექსური მექანიზაცია მეცხოველეობაში.

ამხ. პოდგორნიმ აღძრა აგრეთვე კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის პროდუქციის ფასების ერთმანეთთან დაახლოებისა და კოლმეურნეობებში იმ სარეზერვო ფონდების შექმნის მიზანშეწონილობის საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეთა შრომადღის ანაზღაურების გარკვეულ მინიმუმს, და შრომადღის ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობის დაწესების საკითხი. მან მოიყვანა ცნობები, რომლებიც მოწმობენ უკრაინის სოფლებში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ფართო გაქანებას.

კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მთელი უკრაინელი ხალხი, განაცხადა ამხ. პოდგორნიმ, გააძლიერებენ ბრძოლას შვიდწლედის ხუთ წელიწადში შესრულებისათვის, რათა თავდადებული შრომით მოაახლოონ კომუნიზმის გამარჯვება.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. ი. ბელიაევი.** ამ პლენუმის განსახილველად დასმულ საკითხს, ამბობს იგი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხისათვის.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზულ გეგმებში დიდი როლი ეთმობა ყაზახეთს.

აითვისა რა 23 მილიონ ჰექტარზე მეტი ახალი მიწები, რესპუბლიკა გახდა მარცვლეულის უდიდესი რაიონი და სასაქონლო პურის წარმოების მხრივ მეორე ადგილი უკავია რუსეთის სფს რესპუბლიკის შემდეგ. ამავე დროს გადიდდა ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულისა და კარტოფილის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება.

ყაზახეთი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკა, თავისი ძალების აყვავებას განიცდის, მისი სახალხო მეურნეობის განვითარებას მიმდინარე შვიდწლედში მოხმარდება 24-27 მილიარდი მანეთით მეტი კაპიტალური დაბანდებანი, ვიდრე ათვისებულ იქნა წინა 35 წლის განმავლობაში. რ ე ს პ უ ბ ლ ი კის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შვიდწლედის ბოლოსათვის ყოველწლიურად უნდა აწარმოონ ერთნახევარ მილიარდამდე ფუთი მარცვლეული და მიჰყიდონ სახელმწიფოს სულ ცოტა 800 მილიონი ფუთი. მნიშვნელოვნად გადიდდება პირუტყვის სულადობა, მისი პროდუქტიულობა.

მარცვლეულისა და, უწინარეს ყოვლისა, საგაზაფხულო ხორბლის წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდება კვლავ არის ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მთავარი ამოცანა. ამასთან ყაზახეთში მარცვლეულის წარმოების გადიდების დიდი წყაროა სიმინდი. ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ დაინახა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმინდის ნათესი ფართობი 1960 წელს აიყვანოს 2 მილიონ 100 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1962 წელს — 4 მილიონ 500 ათას ჰექტარამდე, ანუ 3,2-ჯერ გაადიდოს 1959 წელთან შედარებით.

რათა მარცვლეულის ყოველწლიური წარმოება რესპუბლიკაში ავიყვანოთ ერთნახევარ მილიარდ ფუთამდე, საჭიროა მიმდინარე შვიდწლედში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა განვლილი ხუთი წლის საშუალო მოსავლიანობასთან შედარებით გავადიდოთ 3,5-4 ცენტნერით ჰექტარზე. ეს ამოცანა ადვილი როდია, მაგრამ რეალურია და მისი შესრულება შესაძლებელია.

შემდეგ ამხ. ბელიაევი ამბობს, რომ რესპუბლიკაში სასაქონლო მარცვლეულის წარმოების დიდმა ზრდამ ამ უკანასკნელ წლებში ბევრად გაუსწრო საელევატორო-სასაწყობო მეურნეობისა და პურის მისაღები პუნქტების ქსელის განვითარებას. რათა უზრუნველვყოთ მარცვლეულის შეუფერხებელი მიღება უშუალოდ კომბაინებიდან და არ დავუშვათ მისი გაფუჭება, საჭიროა ორი-სამი წლის განმავლობაში ავაგოთ კიდევ სულ ცოტა 133 დაშორებული პურისმისაღები პუნქტი სამი მილიონი ფუთი ტევადობისა თვითეული. ისინი აღჭურვილ უნდა იქნან დიდი წარმადობის საშრობებით, მარცვალსაწმენდი მანქანებითა და სხვა მექანიზმებით.

ყაზახეთში ხორცის საერთო წარმოებაში გადამწყვეტი ადგილი უკავია ძროხისა და ცხვრის ხორცს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, გაადიდებს რა 1965 წელს ცხვრის სულადობას 75 მილიონამდე, როგორც ეს გათვალისწინებულია რესპუბლიკის სოციალისტური ვალდებულებებით, ყაზახეთი უკვე 1966 წლიდან შეძლებს ყოველწლიურად დაკლას სახორცედ 35 მილიონამდე ცხვარი, ანუ თითქმის 13-ჯერ მეტი, ვიდრე 1958 წელს.

ახლა როცა რესპუბლიკის მეცხოველეობა აღმავლობის გზაზეა, ამბობს ამხ. ბელიაევი, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჯიშე საქმის ორგანიზაციას, ცილების უხვად შემცველი საკვების, განსაკუთრებით პარკოსანი ბალახების წარმოებას, ბუნებრივი საკვების სავარგულთა გაუმჯობესებასა და საძოვრების გაწყლოვანებას. რესპუბლიკაში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე გაწყლოვანებულ იქნა 19,5 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები და სოფლის მეურნეობის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის 1965 წლისათვის დასახულ დონეს მიაღწიონ უკვე 1963 წელს. ახლა ყველგან ჩაღდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება საზოგადოებრივი მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

მომხსენებელი დაწვრილებით ეხება საბჭოთა მეურნეობის როლს სოფლის მეურნეობის პროდუქტების და განსაკუთრებით მარცვლეულის წარმოების გადიდებაში. თუ 1953 წელს მათ სახელმწიფოს ჩააბარეს სულ 25 მილიონი ფუთი პური, 1958-1959 წლების განმავლობაში მათ ჩააბარეს 1 მილიარდ 2 მილიონი ფუთი მარცვლეული. უკანასკნელ ხუთ წელიწადში დიდი ცვლილებები მოხდა მეცხოველეობის განვითარებაში. ამ წლების მანძილზე საბჭოთა მეურნეობებმა ხორცის წარმოება გაადიდეს 3,4-ჯერ, რძისა — 4,7-ჯერ, კვერცხისა — 7,5-ჯერ, მატყლისა — 3,8-ჯერ.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კვალიფიციური კადრებით განმტკიცებაზე, ინიციატივაზე, რომლის მიზანია საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა. წარმოებს სატრაქტორო, მემინდვრეობის ბრიგადების გაძლიერება კვალიფიციური აგრონომებითა და მექანიკოსებით, ეწყობა ბრიგადირების ზოგადი და სპეციალური მომზადების ამაღლება. თუ 1954 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობდა მაღალი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე დაახლოებით 9 ათასი სპეციალისტი, ახლა მუშაობს 20 ათასზე მეტი ასეთი სპეციალისტი.

ამხ. ბელიაევმა ამასთან ერთად აღნიშნა, რომ ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საოლქო და რაიონული კომიტეტები ჯერ კიდევ არ მუშაობენ ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და აღზრდაზე. სერიოზული ნაკლია სპეციალისტების სუსტი დაწინაურება.

იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა ავამაღლოთ ახალი ამოცანების დონემდე, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. ბელიაევი, საჭიროა განვაგრძოთ მუშაობა პარტიის სასოფლო რაიკომებისა და საოლქო კომიტეტების განმტკიცებისათვის კვალიფიციური კადრებით, რომლებიც კარგად იცნობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, უნარი აქვთ მტკიცედ განახორციელონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დირექტივები.

ადამიანებთან პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას რესპუბლიკის ყამირის რაიონებში აქვს ერთი არსებითი თავისებურება. ეს არის ახალგაზრდობის დიდი ხვედრითი წონა სოფლის მოსახლეობაში. ხოლო ახალგაზრდობას, როგორც ცნობილია, დიდი კულტურული მოთხოვნილებები აქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, რესპუბლიკური ორგანიზაციები, აგრეთვე სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო და „ცენტროსოიუზი“ საკმაოდ არ ითვალისწინებენ ამ გარემოებას.

შემდეგ ამხ. ბელიაევი აღნიშნავს სერიოზულ ნაკლოვანებებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში. სამინისტროს საქმიანობაში, ამბობს იგი, აღმოფხვრილი არ არის დიდი ნაკლოვანებანი. აქედან მთავარია სუსტი ორგანიზატორული მუშაობა, ნელი ტემპები მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდასა და დანერგვაში, სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების შემუშავებაში, არასაკმაო კავშირი კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან, სუსტი ოპერატიულობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და მექანიზაციის მომწიფებული საკითხების გადაჭრაში.

მეცხვარეობის განვითარების, რქიანი პირუტყვის სულადობის გადიდების, ბუნებრივი საკვების სავარგულების უდიდესი მასივებისა და სახნავად ვარგისი მიწების ათვისების მიზნით რაიონებში, რომლებიც დაშორებულია არსებულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რესპუბლიკაში მომწიფდა საჭიროება უახლოეს ორ-სამ წელიწადში დამატებით შეიქმნას 250-280, უმთავრესად მეცხოველეობის, საბჭოთა მეურნეობა.

დასასრულ ამხ. ბელიაევი ამბობს:

— საბჭოთა კავშირი მთელ თავის ისტორიაში ჯერ არასოდეს არ ყოფილა ისე მძლავრი და ძლიერი, ჩვენი სახელმწიფოს, მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის საერთაშორისო ავტორიტეტი, საერთაშორისო პოლიტიკაზე მათი გავლენა ჯერ არასოდეს არ ყოფილა ისე მაღალი, როგორც ამჟამად. და იმაში, რომ ვითარება დედამიწაზე გაუმჯობესდა, და სხვადასხვა სახელმწიფო წყობილების ქვეყნების ურთიერთობის ჰავა მნიშვნელოვნად დათბა, იმაში, რომ უფრო მოახლოვდა და უფრო ნათელი გახდა მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების პერსპექტივა, — დიდი ისტორიული დამსახურება მიუძღვის საბჭოთა კავშირს, მის მთავრობას, რომელსაც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ხელმძღვანელობს.

# გიორგი ლეონიძე — საქართველოს სსრ სახალხო პოეტი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### პოეტ-აკადემიკოს გ. ნ. ლეონიძისათვის

### საქართველოს სსრ სახალხო პოეტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაბადებიდან სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და ქართული საბჭოთა პოეზიისა და ქართული ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს პოეტ-აკადემიკოს გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეონიძეს საქართველოს სსრ სახალხო პოეტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი**

ქ. თბილისი, 1959 წლის 22 დეკემბერი.



★

## სამშობლოს მომღერალი

გულის ფესვიდან მინდა გიმღერო,
და თუ ვერ გითხრა როგორ მიყვარხარ,—
შენ თვითეულ ხეს, ბალახის ღეროს,
ვკოცნი, ვეხვევი, ვეტყვი: მიყვარხარ!

— ასე უმღერის, ასე უგალობს გიორგი ლეონიძე თავის ქვეყანას, საბჭოთა სამშობლოს.

გიორგი ლეონიძის ლექსებში ბრწყინავს სამშობლო. კითხულობ გულიდან მომდინარე სტრიქონებს, და გრძნობ ქართული მიწის სუნთქვას. პოეტი უმღერის საქართველოს „მზეში დამარხნებულ“ ყოველ ბუჩქსა და ტოტს, ნატრობს, რომ ხალხმა ამრავლოს აკვნები, მიწა აავსოს ბარაქით, დაუშრობლად ჩქეფდეს მშობლიური მტკვარი, რიონი, არაგვი...

სამშობლოვ,
შენი მიწის მეკვლე ვარ,
შენი ლამაზი მიწის მკოცნელი.
კვლავ და კვლავ გალობს პოეტი.

ძმობა, მეგობრობა, მშვიდობა, ქვეყნის დიდი წარსული, ხალხის ნათელი მომავალი — აი ამ უნიჭიერესი ქართველი პოეტის მაღალი შთაგონების დაუშრეტელი წყარო. ნიაღვარივით მოედინება ძარღვიანი ქართული სიტყვა სამშობლოს ტრფობით აჟღერებულ ლექსებში.

დიდი პოეტური რთველი დაუდგა გიორგი ლეონიძეს. ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს თავისი სახიქადულო შვილის დაბადების 60 წლისთავს. გუშინ, 22 დეკემბერს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა პოეზიისა და ქართული ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის პოეტ-აკადემიკოს გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეონიძეს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო პოეტის საპატიო წოდება.

გულთბილად ვულოცავთ ჩვენს სახალხო პოეტს უმაღლეს ჯილდოს და ვუსურვებთ კვლავ ასე ნაყოფიერად განაგრძოს დაუღალავი შემოქმედებითი შრომა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს, ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩუმათელეთი-ხევი-ძირულის საუღელტეხილო გზატკეცილის რეკონსტრუქციაში

ჩუმათელეთი-ხევი-ძირულის საუღელტეხილო გზატკეცილის სარეკონსტრუქციო სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ბანცაძე** დიმიტრი ივანეს-ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაშურის ავტოსატრანსპორტო კანტორის ავტომანქანის მძღოლი
2. **ბლიაძე** შოთა პავლეს-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის ავტოგრეიდერე
3. **გელაშვილი** ნიკოლოზ ლუკას-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის კალატოზი
4. **გველესიანი** შალვა პორფილეს-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 25 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ავტომანქანის მძღოლი
5. **გრიგორიანი** ზორკინ მარტიროსის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 29 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის კალატოზთა ბრიგადირი
6. **გუგუშვილი** გიორგი სერაფიონის-ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაშურის ავტო-სატრანსპორტო კანტორის ავტომანქანის მძღოლი
7. **დარბაიძე** დიმიტრი არჩილის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის ავტომანქანის მძღოლი
8. **დევნოსაძე** მუხრან ალექსანდრეს-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 29 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ბრიგადირი
9. **დეკანოსიძე** ნოე დომენტის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 25 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი
10. **დუნდუა** ივანე ლევანის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 40 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის გზის ოსტატი
11. **ზურაბაშვილი** კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 39 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ავტომანქანის მძღოლი
12. **თოდაძე** სიმონ მელიტონის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის მთავარი ინჟინერი
13. **ილურიძე** მიხეილ დავითის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის სამუშაოთა მწარმოებელი
14. **კიკნაძე** კუკური დავითის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის მებულდოზერე
15. **კილაძე** იაკობ სიმონის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის ავტომანქანებისა და საგზაო მექანიზმების სარემონტო ბრიგადის ბრიგადირი
16. **კრავცოვი** ივანე მაქსიმეს-ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო სამშენებლო ტრესტის ექსკავატორის ბრიგადირი-მემანქანე
17. **კურტანიძე** ვლადიმერ მელიტონის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის უფროსი
18. **კუჭაძე** გიორგი აბელის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის მებულდოზერე
19. **ლაპიაშვილი** მალხაზ გიორგის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 29 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი
20. **მალაღურაძე** შოთა მელიტონის-ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო სამშენებლო ტრესტის № 24 სათავო სარემონტო მატარებლის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი
21. **მაჟავარიანი** გივი ერმალოზის-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო სამშენებლო სამინისტროს ხიდების სამშენებლო № 454 მატარებლის ელექტროშემდუღებელი
22. **ნაზარეტიანი** ჰაიკ ოგანეზის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 39 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის კალატოზი
23. **ნიკოლაიშვილი** პლატონ პარმენის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 40 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი
24. **ნიჟარაძე** ვახტანგ გიორგის-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო სამშენებლო სამინისტროს ხიდების სამშენებლო № 454 მატარებლის უფროსი
25. **ნიორაძე** ჯუმბერ გიორგის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის ელექტროშემდუღებელი
26. **ნოზაძე** ქრისტეფორე ილარიონის-ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო სამშენებლო ტრესტის მებეტონეთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი
27. **პილოჟოვი** ვასილ თეოდორის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 40 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის მებეტონე
28. **პილოსიანი** ხაჩატურ ვართანის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 39 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ბრიგადირი
29. **ჟორჟოლაძე** ვლადიმერ გიორგის-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ საგზაო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი
30. **ჟუჟუნაძე** ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო სამშენებლო ტრესტის № 24 სათავო სარემონტო მატარებლის უფროსი
31. **სააკიანი** სურენ ავეტისის-ძე — „საქფეთქმრეწვის“ № 10 უბნის უფროსი
32. **სარალიძე** ვარლამ გიორგის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის მექანიკოსი
33. **ულუმბელაშვილი** აკაკი ნიკოლოზის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის ხურო
34. **ქველაძე** ავთანდილ ვლადიმერის-ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაშურის ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსი
35. **ქურდაძე** თენგიზ სერგის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის საავტომობილო პარკის დისპეჩერი
36. **ყიფიანი** ქაიხოსრო ალექსანდრეს-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის სამუშაოთა მწარმოებელი
37. **ცქიტიშვილი** ოთარი იოსების-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო სამშენებლო სამინისტროს ხიდების სამშენებლო № 454 მატარებლის სამუშაოთა მწარმოებელი
38. **ჭანკვეტაძე** გერმოგენ მიხეილის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 25 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის გზის ოსტატი
39. **ჭანტურაძე** ბერდო ვასილის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის მექანიკოსი
40. **ხაჩიძე** შოთა მიხეილის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის ნორმადარი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი**

ქ. თბილისი, 1959 წლის 22 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სალამი საქართველოს არქიტექტორთა V ყრილობის დელეგატებს!

# სისადავე, სილამაზე და მონუმენტურობა!

## მეტი ძიება, მეტი სიახლე!

დღეს იხსნება საქართველოს არქიტექტორთა V ყრილობა. მშენებლობას და არქიტექტურას ერთ-ერთი არსებითი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახალხო მეურნეობის განვითარების დიად გეგმასა და საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში. ამიტომ ჩვენი მშენებლები და არქიტექტორებიც ვალდებული არიან მთელი პასუხისმგებლობით შეხვდნენ დასახულ ამოცანებს, რაც შეიძლება უკეთ უპასუხონ საბჭოთა ხალხის მაღალ მოთხოვნილებებს.

როგორც ცნობილია, გადამწყვეტი გარდატეხა საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში 1954 წელს, მშენებელთა საკავშირო თათბირის შემდგომ დაიწყო.

იმ დიდ ამოცანათა შორის, რომლებიც დგანან ჩვენი არქიტექტორების წინაშე, უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრინციპების განვითარება. ქალაქთმშენებლობას, რომელიც მუდამ წარმოადგენდა არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს დარგს, მის საფუძველს, ახლა ტიპური მშენებლობის პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭება. აწინდელ ვითარებაში, როდესაც ხდება ძირითადი საბინაო მშენებლობის განლაგება მსხვილი კომპლექსებით თავისუფალ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქის გააზრება, როგორც მთლიანი, ჯანსაღი არქიტექტურული ორგანიზმისა. აქ ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს საბჭოთა ადამიანს, მის ცხოვრებას, შრომასა და დასვენებას.

თბილისში ბევრი რამ უკვე გაკეთებულია ამ მხრივ. შედგენილია ქალაქის ახალი რაიონების (საბურთალო, ნავთლუღი, დიღომი) დაგეგმარების პროექტები. აქ გათვალისწინებულია კვარტალების გაშენება შენობათა თავისუფალი დაგეგმარებით შიგა კვარტალური გამწვანებული მოედნებით და სათანადო მომსახურებით. მაგრამ, სამწუხაროდ, თბილისში ჯერ კიდევ არა გვაქვს არც ერთი დასრულებული და სრულყოფილი კვარტალი. ის, რაც საბურთალოში განხორციელდა, იმდენად შორს არის არქიტექტორთა შთანაფიქრიდან, რომ მათი სათვალავში მიღება არ შეიძლება.

ამჟამად თბილისში ძირითადი მშენებლობა მიმდინარეობს თავისუფალ ტერიტორიებზე. მალე იძულებული ვიქნებით განვახორციელოთ რეკონსტრუქციული ღონისძიებანიც. ქალაქის ძველ რაიონებში არსებობს ღირებულებას მოკლებული, ან ტექნიკურად ძალიან ცუდ მდგომარეობაში მყოფი მრავალი შენობა. ამიტომ ჩვენი საპროექტო ორგანოები ახლავე უნდა შეუდგნენ ქალაქის ძველი რაიონების რეკონსტრუქციის გეგმის შედგენას.

უნდა ვერიდოთ მავნე პრაქტიკას — ერთი შენობის შეცვლას მეორე ახალი სახლით, რომელიც აუქმებს შიგა ეზოებს და სპობს მწვანე მოედნების შექმნის შესაძლებლობას.

ქართველ არქიტექტორთა წარმატებად უნდა ჩაითვალოს ტიპური პროექტების ფართოდ დანერგვა. სასიხარულოა, რომ დღეს ტიპურმა პროექტებმა მოიპოვეს მოქალაქეობრივი უფლება და ჰპოვეს ფართო გამოყენება.

როგორია თვით მიმართულება არქიტექტურაში? ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჩვენში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი არქიტექტორი, რომელიც ერთგული დარჩა ახლო წარსულში გაბატონებული მიმართულებისა. ამჟამად გადასინჯულია არქიტექტურული სილამაზის თვით ცნება. ყველას კარგად აქვს შეგნებული, რომ არქიტექტურული ნაგებობა იქმნება უწინარეს ყოვლისა გარკვეული ფუნქციების შესრულების მიზნით, ადამიანის მომსახურების მიზნით. ამიტომ მისი ღირსებაც განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მოხერხებულია იგი და უპასუხებს თავის დანიშნულებას, რამდენად რაციონალურია მისი კონსტრუქციები და ეკონომიური გადაწყვეტა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დავაქვეითოთ იდეურ-მხატვრული მხარეები. პირიქით, არქიტექტურული ნაწარმოები უნდა უპასუხებდეს ადამიანის გაზრდილ მოთხოვნილებებს, ასახავდეს მის წარმოდგენას სინამდვილეზე, მის ესთეტიკურ იდეალებს, იყოს მიზანშეწონილი, მართებული, ცხადი და სადა.

უკანასკნელ პერიოდში ჩატარებულმა კონკურსებმა და შესრულებულმა პროექტებმა დაგვარწმუნეს, რომ არქიტექტორთა ის ნაწილი, რომელიც წარსულში შენობის კომპოზიციურ სიღარიბეს გარეგანი გაფორმებით ფარავდა, ამჟამად ახალი ამოცანების წინაშე უმწეო აღმოჩნდა.

ახალი მასალები და კონსტრუქციები, განსაკუთრებით ასაწყობი რკინაბეტონი, მოითხოვენ ახალი ფორმების, ახალი ტექნიკური პრინციპების გააზრებას. თანამედროვე შენობებში ყველა საკითხი უნდა იყოს ჰარმონიულად გადაწყვეტილი კომპოზიციის ხერხებით. თვით შენობის კომპოზიციაში უნდა გადაწყდეს ეკონომიკის საკითხებიც.

ამავე დროს ვიმეორებთ, ეკონომიური და საინჟინრო საკითხების გადაწყვეტისას არ უნდა იყოს უგულებელყოფილი მხატვრული მეტყველებაც. სისადავე როდი უნდა იყოს გაგებული, როგორც უბრალო გამარტივება, პირიქით, იგი უნდა გადაიქცეს მხატვრული მეტყველების უმაღლეს ფორმად.

საქართველოს არქიტექტორთა მრავალი ახალი ნაწარმოები იმსახურებს მოწონებას. მათ შორის აღსანიშნავია სასპორტო-საგამოფენო დარბაზი საბურთალოში (არქიტექტორი ვ. მესხიშვილი), საცხოვრებელი სახლები სანაპიროზე (არქიტექტორები ლ. ხარაშვილი, გ. მელქაძე, შ. ყავლაშვილი) და მცხეთის ქუჩაზე (დ. მორბედაძე, თ. კანდელაკი, რ. ბაირამაშვილი), ავტოსადგურის პროექტი (არქიტექტორი ს. რევიშვილი და გ. ჯაბუა), ზოგიერთი საკონკურსო პროექტი საქართველოს პავილიონისა და სხვა.



ამასთანავე ვფიქრობთ, ჩვენი არქიტექტორები ჯერ კიდევ ძალიან გაუბედავად ხმარობენ ფერს, რომელსაც თანამედროვე არქიტექტურაში დიდი გამოყენება უნდა ჰქონდეს. აშკარად უნდა ითქვას, რომ თანამედროვე არქიტექტურა თავისი სადა და ლაკონური ფორმებით არ იქნება მეტყველი, თუ არ მივაღწევთ მშენებლობის უკეთეს ხარისხს. სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის საკითხი განსაკუთრებით მკვეთრად დგას სწორედ მშენებლობის ახალი მეთოდების პირობებში. საიდუმლო როდია, რომ ფასადების მორთულობა, მათი რთული პლასტიკა მოპირკეთების სამუშაოთა ნაკლოვანებების შენიღბვის საშუალებასაც წარმოადგენდა. ამჟამად, როდესაც უარი ითქვა გაფორმებაზე, ჩვენ ველარ შევურიგდებით მშენებლობის დაბალ ხარისხს. საჭიროა დავნერგოთ ქარხნებში ახალი ტექნოლოგია, ავამაღლოთ მშენებელი მუშების კვალიფიკაცია, გავაძლიეროთ არქიტექტორთა კონტროლი მშენებლობაზე.

ძიების პერიოდში ბევრს აღელვებს საკითხი ეროვნული და საერთოდ არქიტექტურული მემკვიდრეობის შესახებ.

საბჭოთა არქიტექტურა ვითარდება ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებისა და ტრადიციებისადმი პატივისცემის ნიშნით. ეროვნული ტრადიციები არ არის რაღაც შემთხვევითი, ხალხის ცხოვრებაში გარედან შემოტანილი. ისინი ჩამოყალიბდნენ საუკუნეთა მანძილზე და ასახავენ ხალხის ყოფის თავისებურებას. ხალხური ხუროთმოძღვრული ხერხები შექმნილია წმინდა პრაქტიკულ მოთხოვნილებათა საფუძველზე. ბუნებრივი პირობებისა და ესთეტიკურ შეხედულებათა გავლენით ისინი ვითარდებოდნენ და ხდებოდნენ ეროვნული კულტურის განუყრელ ელემენტებად.

მაგრამ ჩვენი ძირითადი შეცდომა მდგომარეობდა ეროვნული მემკვიდრეობის როლის გადაჭარბებულ შეფასებაში. გვავიწყდებოდა, რომ ძირითადი მაინც შენობის თანამედროვე შინაარსია და არა ძველი ძეგლების დრომოჭმული ფორმა. ყოველი სტილი გარკვეული პერიოდის ხალხის აზრების გამოსახვაა, ხალხი კი მუდმივად ვითარდება და ეს იწვევს მხატვრული სტილის ცვლილებასაც. თუ სტილი არ იცვლება, მას ელის გადაგვარება და მექანიკური გამეორების შემთხვევაში იგი ჩამორჩება მის შემქმნელ ხალხს.

ამჟამად შეიცვალა არა მარტო ჩვენი შეგნება, არამედ ტექნიკაც. შენობის აგების ინდუსტრიული მეთოდები არ შეესატყვისება კუსტარული წესით დამზადებულ არქაულ ფორმებს და, რაც არ უნდა ხარისხიანად იყოს შესრულებული ძალქეული დეტალი, იგი მაინც მიუღებელია ჩვენი დროისათვის. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არა გვსურს ეროვნული ტრადიციების უგულებელყოფა, მათი ძირითადი ცხოველუნარიანი ნაწილი რჩება და ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, მაგრამ ახალი მხატვრული კულტურა უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს თანამედროვე, ასახავდეს ახალი საზოგადოების გრძნობებსა და აზრებს.

ჩვენმა არქიტექტორებმა მიმდინარე წელს მოიარეს დემოკრატიული ქვეყნები, აგრეთვე ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, ამერიკის შეერთებული შტატები და ყურადღება მიაქციეს გადახურვებისა და კიბეების კონსტრუქციებს, ახალ რულონურსა და საიზოლაციო მასალებს, საბინაო თუ სასკოლო მშენებლობას, ინტენსიური ფერების მარჯვედ და ფართოდ გამოყენებას. ყოველივე ეს ამდიდრებს ჩვენს ცოდნასა და გამოცდილებას. მაგრამ თანამედროვე კაპიტალისტური არქიტექტურის უკრიტიკო გადმოღება მხოლოდ მავნე მიმბაძველობამდე მიგვიყვანს. მისი შესწავლა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. საჭირო და სასარგებლოსთან ერთად ხშირად ინერგება ისიც, რაც არ შეეფერება ჩვენს არქიტექტურას თავისი სოციალური ბუნებით, ეროვნული თავისებურებით ან სხვა მიზეზის გამო. ჩვენ გვაქვს საკუთარი გზა, უზარმაზარი შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც წარმატების საწინდარია.

დასასრულ ერთხელ კიდევ გვინდა შევეხოთ საკმაოდ მტკივნეულ საკითხს. ჩვენი არქიტექტურის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე ველარ შევურიგდებით ჩამორჩენას კულტურის სხვა დარგებში და განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო საგნების ხელოვნებაში.

ამჟამად მცირეგაბარიტიანი ბინების პირობებში ბინის კეთილმოწყობის საკითხი განსაკუთრებით მკვეთრად დგას. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ავეჯი არ არის სათანადო ხარისხის, ეკონომიური და ლამაზი. იგი არქაულია, ძნელი, პრეტენზიული, დაფუძნებული XIX საუკუნის მეშჩანურ გემოვნებაზე და ამიტომაც ძვირი. საჭიროა ავეჯის სტანდარტების გადათვალიერება. იგი უნდა გახდეს უფრო უნივერსალური, მოსახერხებელი, ისეთი, რომ ორმა-სამმა საგანმა შექმნას ბინის სახე და მისი მყუდროება. საჭიროა სრული გადაბალისება ჩვენი მხატვრების: ფერისა თუ ნახატის მხრივ, განათების, არმატურისა და ხელსაწყოების, და საერთოდ ყოველივე საგნისა, რომელიც ბინაში შედის.

როგორ შეიძლება, რომ ჩვენს დროში, ატომური ენერგიისა და ტელევიზიის, რაკეტული ძრავებისა და კიბერნეტიკის ეპოქაში, თბილისის საწარმოები უშვებდნენ დაბალი გემოვნების საგნებს, რომლებიც შემდეგ ამაყად იყურებიან „საჩუქრების“ მაღაზიათა ვიტრინებიდან.

პარტიამ და მთავრობამ დააყენეს არქიტექტურაში სოციალისტური სტილის შექმნის საკითხი. ეს სტილი მაშინ არის ჩამოყალიბებული და მოქმედი, როდესაც მოიცავს კულტურის ყველა სფეროს — როგორც არქიტექტურას, ასევე ხელოვნების ყველა დარგს.

საქართველოს სსრ საბჭოთა არქიტექტორების V ყრილობამ უნდა დააყენოს და გადაჭრას მტკივნეული საკითხები და აღმოფხვრას ჯერ არსებული ნაკლოვანებანი. ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ სიახლეთა დანერგვით შევუქმნათ საბჭოთა ადამიანს ლამაზი ცხოვრება.

**ირაკლი ციციშვილი,**
არქიტექტურის კანდიდატი, დოცენტი.

* * *

**სურათზე:** თბილისის ახალი სასტუმრო „ინტურისტის“ მაკეტი (ქვემოთ) და პროექტი (არქიტექტორი ო. კალანდარიშვილი).

## ქართველ ხუროთმოძღვრებთან

ყოველწლიურად იზრდება და მტკიცდება ჩვენი სამშობლოს ძლიერება, სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაკი. მთელ მსოფლიოში ჰპოვა აღიარება საბჭოთა მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მიღწევებმა; კაპიტალიზმის დამქაშები და დამცველებიც კი ვერ უარყოფენ ამას. ჩვენ ვცხოვრობთ იმ ეპოქაში, როცა საბჭოთა მეცნიერების მიერ მთვარეზე გაშვებულ იქნა კოსმოსური რაკეტა. თუ ასე წინ წავიდა ჩვენი სამამულო მეცნიერება, ვალში მას არც არქიტექტორები უნდა დარჩნენ. მათ უნდა შექმნან კეთილმოწყობილი ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლების, სამრეწველო რაიონების, ფაბრიკა-ქარხნების პროექტები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობამ დაამტკიცა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის შვიდწლიანი გეგმა. დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ არქიტექტორებს შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესრულებაში. საბჭოთა ადამიანები უნდა უზრუნველვყოთ კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინებით, კულტურული დასვენების ობიექტებით. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევიან სსრკ არქიტექტორთა კავშირის გამგეობა, მოკავშირე რესპუბლიკების არქიტექტორთა კავშირები. ისინი უზრუნველყოფენ დამშვენებული ახალი საცხოვრებელი კვარტალების პროექტების ხარისხის გაუმჯობესებას.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მეხუთე ყრილობა წინ უსწრებს სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის მესამე ყრილობას, რომელიც მომავალი წლის პირველ ნახევარში გაიმართება მოსკოვში. ყრილობაზე განხილულ იქნება შემოქმედებითი საკითხები: ახალი ტიპის ქალაქების მშენებლობა და საბჭოთა არქიტექტურის განვითარების შესაძლებლობანი. საკავშირო ყრილობის ორგანიზებულად შეხვედრისათვის მოკავშირე რესპუბლიკებში და ქალაქებში ტარდება ყრილობები და კონფერენციები, სადაც მონაწილენი ერთგვარ ანგარიშს აბარებენ თავიანთი შემოქმედებითი მუშაობის შესახებ.

პირადად მე პირველად ვარ თბილისში. ჩემთვის, როგორც არქიტექტორისათვის, რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა საინტერესო იყო თბილისის როგორც ძველი, ისე თანამედროვე ხუროთმოძღვრება. უნდა ითქვას, რომ თბილისი დიდი თანამედროვე ქალაქია. აქ ყურადღებას იპყრობს როგორც ძველი, ისე თანამედროვე მონუმენტური შენობები. ქართველ საბჭოთა არქიტექტორებს თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით გრანდიოზული მუშაობა გაუწევიათ ამ მხრივ. აბა რად ღირს ვაკისა და საბურთალოს ახალი კვარტალების ნახვა. ყველაფერს ეტყობა გამრჯე მარჯვენის ნახელავი.

ქართველი არქიტექტორების მომავალი მუშაობა იქითკენ უნდა წარიმართოს, რომ ტიპური საცხოვრებელი სახლების პროექტები ერთმანეთს ტყუპებივით არა ჰგავდნენ, საჭიროა მათში უფრო მეტი ფერები იყოს, შეეფარდებოდეს ქართულ ეროვნულ კოლორიტს.

პრაქტიკაში უნდა დაინერგოს აგრეთვე, რომ საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა, როგორც წესი, შემოიღოს ახალი სახლების პროექტების საოჯახო, საზოგადოებრივი განხილვა და გაითვალისწინოს მცხოვრებლების მიერ გამოთქმული შენიშვნები.

ვუსურვოთ ქართველ არქიტექტორებს შემდგომი წარმატებანი შემოქმედებით მუშაობაში.

**ვლადიმერ ნოვაკი,**
სსრკ არქიტექტორთა კავშირის მდივანი.



## მატარებელი მიჰქრის საჩხერისაკენ...

როცა სიტყვა ჩამოვარდება ჭიათურის მარგანეცის საბადოს დამუშავების ან ყვირილის ხეობაში რკინიგზის გაყვანის ისტორიაზე, უნებლიეთ გაგახსენდებათ ქართველი ერის სასიქადულო მგოსანი აკაკი წერეთელი.

ვინ მოთვლის, რამდენი უსიამოვნება შეხვდა დიდ პოეტს მარგანეცისა და რკინიგზის გამო. იმ დროს ვერ წარმოედგინათ რკინიგზის გაყვანა ყვირილის ხეობაში, ჯოყოეთის, რგანის, მღვიმევის თუ დარკვეთის კლდოვან და ხრიოკ მიდამოებში. აკაკიმ დიდი ღვაწლი დასდო ამ საქმეს...

საჩხერელებისათვის სანუკვარი ოცნება იყო ფართოლიანდაგიანი რკინიგზა, ელმავალი. მაგრამ ჩვენს დრომდი განუხორციელებელი არაფერი რჩება.

აჰა მოხდა ამჯერადაც. ერთი წელი არც არის რაც აქ მოვიდნენ მშენებლები — მებეტონეები, რკინიგზელები. მათ მოიტანეს ბულდოზერები, ექსკავატორები, ტრაქტორები, თვითსაცლელი ავტომანქანები. შეუპოვრად ეკვეთნენ ისინი შმაგსა და გიჟმაჟ მდინარე ყვირილას, შებოჭეს, შეავიწროვეს. იგი. მშენებლები აფეთქებდნენ ათასწლოვან კლდეებს, აგებდნენ ხიდებს, საიმედოდ აბეტონებდნენ საყრდენ ჯებირებს, აგებდნენ ლიანდაგს, ამონტაჟებდნენ ელექტროგადამცემ ხაზებს. ეს ხდებოდა დარკვეთ-საჩხერის მიდამოებში.

გზის მშენებლებს წელს უნდა მიეყვანათ მატარებელი საჩხერეში. მათ ჩინებულად გაართვეს თავი ამ საკმაოდ რთულსა და სერიოზულ საქმეს. მშენებლებმა ათი დღით ადრე მიიყვანეს მატარებელი საჩხერეში და ერთ მილიონ მანეთზე მეტი დაზოგეს. მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი ინჟინრები მ. გალდავაძე და შ. ტულუში. თავდადებული შრომით თავი გამოიჩინეს მებეტონეთა ბრიგადებმა, რომლებსაც მიხეილ კაპანაძე, მარიამ ენინა და ვასილ გორელოვი ხელმძღვანელობდნენ. მათ არ ჩამორჩებოდა მ. სესვაძის ხუროების ბრიგადა, აგრეთვე უბნის უფროსი ოსტატები ს. ვოლოშინი, ჯ. ნადირაძე, სამუშაოთა მწარმოებელი გ. კურცხალია, ექსკავატორის მემანქანე ა. შეიდკი, ელექტრომემონტაჟე ი. კუპატაძე, უბნის მუშა ბ. აბრამიშვილი. მშენებელთა მთელი კოლექტივის მამაცურმა შრომამ უზრუნველყო გზის მშენებლობის ვადამდე დამთავრება.

* * *

20 დეკემბერს ნამდვილი სახალხო ზეიმი იყო დიდი აკაკის მშობლიურ საჩხერეში. შორეული სოფლებიდანაც კი ჩამოსულიყვნენ სადგურზე. აქ მოვიდნენ სტუმრები თბილისიდან, სამტრედიიდან, ზესტაფონიდან, ჭიათურიდან. ყველას სიხარული და აღფრთოვანება უბრწყინავდა სახეზე.

დადგა სანუკვარი ჟამიც. სადგურში შემოვიდა მძლავრი ელმავალი მგზავრებით დატვირთული მატარებლით. იგი მოიყვანეს უფროსმა მემანქანემ ვ. ცერცვაძემ და ო. ოსაძემ, ინსტრუქტორ-მემანქანეებმა ვ. ნოზაძემ და ნ. თოფურიამ. იგრიალა ზღვა ხალხის ტაშმა...

სახელდახელოდ მოწყობილი მიტინგი გახსნა მშრომელთა დეპუტატების საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ყიფიანმა. მან სიტყვა მისცა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველ მდივანს ვ. ურუშაძეს, რომელმაც ილაპარაკა მშენებელთა და საჩხერის რაიონის მშრომელთა წარმატებებზე.

საჩხერის მშრომელებს ეს შესანიშნავი საახალწლო საჩუქარი მიულოცეს მწერალმა აკ. ბელიაშვილმა, მოსწავლეებმა მ. ყაველაშვილმა და ა. ტანტილოზოვმა, მშენებლობის უფროსმა მ. გალდავაძემ, სოფელ სავანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ჯაფარიძემ, კომკავშირის რაიკომის მდივანმა თ. გოშაძემ, მასწავლებელმა ირ. იაკობიძემ.

ეს დღე სამუდამოდ დარჩება საჩხერელთა ხსოვნაში.

ამიერიდან საჩხერე პირდაპირი ფართო ლიანდაგით დაუკავშირდა თბილისს, ქუთაისს, ბათუმს...

მატარებელი მიჰქრის საჩხერისაკენ...

**პ. ჟიოკაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## კრიტიკული რეალიზმის სათავეებთან

რეალიზმის ჩამოყალიბების პროცესი და ამ პროცესის თავისებურებათა შესწავლა ქართული მწერლობის ისტორიაში სპეციალური კვლევა-ძიების საგნად არავის გაუხდია. ასეთი ნაშრომის საჭიროება კი (რომელიც შეავსებდა დიდ ხარვეზს ჩვენი მწერლობის შესწავლაში) საკმაოდ ძლიერად იგრძნობოდა უკანასკნელ წლებში. პროფესორ დ. გამეზარდაშვილის კაპიტალური ნაშრომი „კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბება ქართულ მწერლობაში“, რომელიც მიმდინარე წელს გამოსცა რუსულ ენაზე „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობამ, მიზნად ისახავს უჩვენოს მკითხველს განვითარების ის გზა, რომელიც კრიტიკულმა რეალიზმმა განვლო ჩვენს მწერლობაში გასაბატონებლად. ავტორის ძირითადი მიზანია დაამტკიცოს, რომ კრიტიკული რეალიზმი ქართულ მწერლობაში დაიწყო არა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე „თერგდალეულები“ გამოვიდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, კერძოდ, ამავე საუკუნის 40-50-იან წლებში და მის დამწყებად უნდა მივიჩნიოთ გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, ლ. არდაზიანი, დ. ყიფიანი და რაფ. ერისთავი. ეს სრულიად ახალი კონცეპციაა, რომელიც არსებითად განსხვავდება ქართული მწერლობის ისტორიაში დღემდე გაბატონებული შეხედულებებისაგან.

პროფესორი დ. გამეზარდაშვილი მართებულად მოიქცა, როდესაც, ქართულ მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბების პროცესის თავისებურებათა უფრო ნათლად გარკვევისათვის, შესავალში მოკლედ შეეხო ანალოგიური ხასიათის პროცესების გარკვევას რუსულ და ევროპულ მწერლობაში. მაგრამ, ვინაიდან ქართული კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბების პროცესის გასათვალისწინებლად საკმარისი არ აღმოჩნდა ავტორის მიერ წარმოდგენილი მიმოხილვა, ამიტომ მას საჭიროდ მიუჩნევია ნაშრომის პირველ თავში მიმოეხილა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება, რომელმაც საფუძველი მოამზადა კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის.

როგორც ლიტერატურული, ისე ფოლკლორული მასალის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ქართული რომანტიზმის თავისებურებანი, რომელმაც საფუძველი მოუმზადა კრიტიკულ რეალიზმს. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი არ იძლევა ზოგიერთი უდავოდ საყურადღებო საკითხის ვრცელ მიმოხილვას.

წიგნში მიმოხილულია 40-50-იანი წლების ქართული მწერლობა და სათანადო მასალის ისტორიულ-ლიტერატურული ანალიზითა და თეორიული განზოგადებით სავსებით დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ კრიტიკულმა რეალიზმმა ჩვენს მწერლობაში ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემა თავის ძალაუფლებას ინარჩუნებდა და როცა ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება ჯერ კიდევ სუსტად იგრძნობოდა.

ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, კ. ლორთქიფანიძის და სხვათა მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობის ანალიზის საფუძველზე ავტორი გვიჩვენებს არა მარტო 60-70-იანი წლების რეალიზმის ხასიათსა და თავისებურებებს, არამედ იმ განსხვავებასაც, რომელიც 40-50-იანი წლების რეალიზმსა და 60-70-იანი წლების რეალიზმს შორის არსებობდა. მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ 60-70-იანი წლების მოღვაწენი კი არ იწყებენ, არამედ ავითარებენ და ამტკიცებენ კრიტიკულ რეალიზმს ქართულ მწერლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის საკითხს 60-70-იან წლებში მრავალი მკვლევარი შეხებია, დ. გამეზარდაშვილის დამსახურება ის არის, რომ მას, მომარჯვებული აქვს წინამორბედ მკვლევართა მიერ გამოყენებული მასალები და შეხედულებები, ავსებს მათ ახალი მასალებით და ზოგ შემთხვევაში დიამეტრალურად უპირისპირდება დღემდე გაბატონებულ ტრადიციულ შეხედულებებს ზემოაღნიშნული საკითხის ირგვლივ.

სარეცენზიო ნაშრომში არის ცალკეული ხარვეზები. მაგალითად, არასაკმარისია მსჯელობა ქართველ რეალისტთა შემოქმედების მხატვრულ თავისებურებებზე. ავტორი ამ შემთხვევაში ყურადღებას უფრო ნაწარმოებთა იდეურ მხარეზე ამახვილებს, ვიდრე მხატვრულ მხარეებზე.

ნაშრომში საკმაოდ ვრცლად არის მიმოხილული ი. ჭავჭავაძის ა. წერეთლის და ნ. ნიკოლაძის ესთეტიკური შეხედულებანი, გ. წერეთლის ესთეტიკურ შეხედულებათა მიმოხილვას კი მეტად მცირე ადგილი უჭირავს.

სასურველი იქნება ავტორმა შემდგომ მუშაობაში ანალოგიური კვლევა ჩაატაროს ხალხოსან მწერალთა და ა. ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას რეალიზმის თავისებურებათა შესასწავლად, რაც ნაშრომს სავსებით დასრულებულ სახეს მისცემს.

**დოც. ი. ბოცვაძე.**

## მეგობრების სიხარული

### მოძმე აზერბაიჯანის გაზეთები საქართველოს შესახებ

ბაქო, 19 დეკემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). რესპუბლიკურმა გაზეთებმა „კომუნისტმა“, „ბაკინსკი რაბოჩიმ“, „კომუნისტმა“ სომხურ ენაზე, ბაქოს საქალაქო გაზეთმა „ვიშკამ“, ახალგაზრდობის პრესამ სპეციალური გვერდები მიუძღვნეს კომუნისტური მშენებლობის წარმატებებს საქართველოში, საქართველოსა და აზერბაიჯანის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას. გაზეთების ფურცლებზე გამოდიან ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები, საწარმოთა, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, მუშები, კოლმეურნეები.


КОММУНИСТ
БАКИНСКИЙ РАБОЧИЙ
КОММУНИСТ

რესპუბლიკურ გაზეთებში ცენტრალური ადგილი უკავია საუბარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძესთან, რომელიც დაწვრილებით ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ ეუფლებიან საბჭოთა საქართველოს მშრომელნი შვიდწლედის მიჯნებს, რით ხვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის თემა ასახულია სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის შ. შუბითიძის, გორის ბამბეულის კომბინატის მრთველის ე. გეგელაშვილის, სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დანადგარის უფროსის მ. ფალავას, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის მეჩაიის ს. არძინბასა და სხვების აღმაფრთოვანებელ სიტყვებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი მკითხველს უამბობს ქართული მეცნიერების წარმატებებზე და შემდგომი განვითარების ფართო ჰორიზონტებზე, რომლებიც შვიდწლედში დაისახა მის წინაშე.

ქართულ ელმავლებისადმი მიძღვნილია თბილისის ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის დირექტორის ი. ზერეკიძის გამოსვლა. რუსთავ-სუმგაიტის ტრადიციული შეჯიბრება ასახულია ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის გ. სიგუას, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივნის შ. ანთელიძის გამოსვლებში.

საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებებზე ლაპარაკობენ ქედის რაიონის კიროვის სახელობის არტელის კოლმეურნე ფ. სურგულაძე, რომელიც აზერბაიჯანელ მეთამბაქოეებს სთავაზობს მუშაობის გამოცდილების გაცვლას, პარტიის დმანისის რაიკომის მდივანი მ. ყულიევი, ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ქ. მეგრელიძე, ახმეტის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი, სტალინური პრემიის ლაურეატი ო. აივაზაშვილი და სხვები. გაზეთები „მოლოდიოჟ აზერბაიჯანა“, „აზერბაიჯან გიანჯლარი“ ბეჭდავენ საუბარს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანთან თ. ბადურაშვილთან, რომელიც ლაპარაკობს საქართველოს ახალგაზრდობის შესანიშნავ პატრიოტულ საქმეებზე.

გაზეთების ყველა ნომერი ილუსტრირებულია თბილისის, რუსთავის ფოტოსურათებით, საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა პორტრეტებით.

## მშენებლები მოვიდნენ...

დიდუბის ხიდიდან მტკვრის მარჯვენა მხარეს, მცხეთის მიმართულებით, დიღომში თბილისის ახალი უბნის განაშენიანებისათვის 2.200 ჰექტარი ფართობია გამოყოფილი. აქ განლაგდება საცხოვრებელი კვარტალები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მწვანე მასივები, მოედნები, მაგისტრალები, ბულვარები და სხვ. ამ ტერიტორიის განაშენიანება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან იგი თბილისის სამ დიდ უბანს — ლენინისა და სტალინის რაიონებს და საბურთალოს უკავშირდება.

უკვე მზად არის პირველი რიგის მშენებლობის დეტალური პროექტი, რომელიც გათვალისწინებულია 270 ჰექტარი ტერიტორიისათვის. იგი შექმნა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „თბილქალაქპროექტის“ არქიტექტორთა ჯგუფმა ი. ჩხენკელის, ნ. მიქაძის, ა. ჯიბლაძის, ი. მოსულიშვილის შემადგენლობით.

— ჩვენ, — ამბობს პროექტის ერთ-ერთი ავტორი არქიტექტორი ნ. მიქაძე, — გამოყოფილი ტერიტორია თითქმის მაქსიმალურად გამოვიყენეთ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. 150 ჰექტარზე აშენდება 225.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სადაც იცხოვრებს 25.000 კაცი, დაახლოებით 6.250 ოჯახი. აქ უმთავრესად აიგება 4-5 და 9-10-სართულიანი სახლები, რომლებიც კეთილმოწყობილი იქნება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

უკვე მოვიდნენ მშენებლები და შეუდგნენ მიწისქვეშა კომუნიკაციების სამუშაოებს.

ახალი საცხოვრებელი „ქალაქი“ დიღომში შვიდწლედის პირმშო იქნება.

**სურათზე:** ქალაქის ახალი უბნის პროექტი.

## საერთაშორისო

# ხელი შევუწყოთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას

### ჟურნალისტთა თანამშრომლობის საერთაშორისო კომიტეტის მიმართვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა ჟურნალისტსა და ჟურნალისტთა ორგანიზაციას

**პატივცემულო კოლეგებო!**

მსოფლიოს ყველა ქვეყნის ჟურნალისტებს, მიუხედავად შეხედულებათა ბუნებრივი სხვადასხვაობისა, აქვთ საერთო ინტერესები. ისინი ისწრაფვიან აამაღლონ თავიანთი პროფესიული ოსტატობა, გააუმჯობესონ პირობები, რომლებშიც მათ მუშაობა უხდებათ, და ამით უკეთ შეასრულონ თავიანთი საზოგადოებრივი მოვალეობა: მიაწოდონ ინფორმაცია, აღზარდონ, ხელი შეუწყონ ხალხთა ურთიერთგაგებას. ეს ინტერესები კი შეიძლება წარმატებით დავიცვათ მხოლოდ მეგობრული დაახლოების გზით, რომელიც შესაძლებელს ხდის ყველაზე ფართოდ გამოვიყენოთ თვითეულის ტრადიციები, გამოცდილება და ღონისძიებანი.

განა დრო არ არის ჩვენ ყველამ ვაღიაროთ, რომ საერთაშორისო ვითარება გახდა გაცილებით უფრო ხელსაყრელი ასეთი დაახლოებისათვის? და განა არ უნდა გამოვიყენოთ ეს იმისათვის, რომ დავაჩქაროთ იმ მატერიალური და მორალური მიზნების განხორციელება, რომლებსაც ჩვენი პროფესიის ადამიანები ესწრაფვიან?

ამ მოსაზრებებმა აიძულეს ჟურნალისტთა თანამშრომლობის საერთაშორისო კომიტეტი, რომლის ინიციატივით 1956 წელს გაიმართა ფართო საერთაშორისო შეხვედრა ჰელსინკში 44 ქვეყნის 259 ჟურნალისტის მონაწილეობით, შეკრებილიყვნენ ვენაში ამა წლის 20-22 ნოემბერს. კომიტეტის ამ სესიაში მონაწილეობა მიიღეს 19 ქვეყნის ჟურნალისტებმა. ყველა მათ კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ამ უკანასკნელ სამ წელიწადში მნიშვნელოვნად გადიდდა ჟურნალისტთა მოგზაურობა უცხო სახელმწიფოებში; ინფორმაცია გახდა უფრო ობიექტური; გახშირდა სპეციალიზებული საერთაშორისო შეხვედრები; უფრო მეტი დაიდო შეთანხმება ჟურნალისტთა ორგანიზაციებს შორის; გაიხსნა მსოფლიოში პირველი ჟურნალისტთა საერთაშორისო სახლი და სხვ. აღნიშნულია თანამშრომლობის იდეების უფრო ფართო გავრცელება და ის, რომ ბევრი ქვეყნის ჟურნალისტები, რომლებიც სხვადასხვა ეროვნულ კავშირსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში შედიან, უკვე თანამშრომლობენ სულ უფრო ფართო მასშტაბით.

დარწმუნებული ვართ რა, რომ დადგა ჟურნალისტთა მეორე მსოფლიო შეხვედრის ხელსაყრელი მომენტი, რომლის საჭიროებაზე ლაპარაკი იყო ჰელსინკში შეხვედრაზე, საერთაშორისო კომიტეტის ვენის სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს ურჩიონ მეორე შეხვედრა მოეწყოს 1960 წლის შემოდგომაზე ევროპის ერთ-ერთ ქალაქში, რომელთანაც მიმოსვლა ყველაზე ხელსაყრელი იქნება.

ჟურნალისტთა მეორე მსოფლიო შეხვედრას, ყოველ ეჭვს გარეშე, დიდი მნიშვნელობა ექნება. მას უკვე უზრუნველყოფილი აქვს მსოფლიოს ჟურნალისტთა უმრავლესობის მხარდაჭერა. მისი ავტორიტეტი მით უფრო დიდი იქნება, რაც მეტი ქვეყანა იქნება შეხვედრაზე წარმოდგენილი.

ამიტომ საერთაშორისო კომიტეტის ვენის სესიის მონაწილენი მიმართავენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა ჟურნალისტსა და ჟურნალისტთა გაერთიანებას მხურვალე მოწოდებით განიხილონ წინადადებანი მეორე მსოფლიო შეხვედრის მოწვევის შესახებ და გამოარკვიონ შეხვედრაზე თავიანთი დელეგატების ან მეთვალყურეების გაგზავნის შესაძლებლობა, რომლებიც, მიუხედავად მონაწილეობის ხასიათისა, შებოჭილი არ იქნებიან არავითარი ვალდებულებით.

განა გულახდილი და დამშვიდებული დისკუსია არ დაგვეხმარება გამოვძებნოთ ყველასათვის საერთო საკითხები და განზე დავტოვოთ ის, რაც ჩვენ გვყოფს? ჟურნალისტთა შრომის მატერიალური პირობები, მართალი ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების მეთოდები, უკეთესი ურთიერთგაგება და ურთიერთდახმარება — აი მოღვაწეობის ფართო asპარეზი, რომელზეც შეიძლება მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი. ეს წარმატებანი თავისთავად იქნებიან ხალხთა შორის ურთიერთობის უკვე დაწყებული გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი. და განა საერთაშორისო ურთიერთობის ეს გაუმჯობესება, რომელსაც ბუნებრივად ესწრაფვიან ჩვენი მკითხველები და მსმენელები და რომლისთვის ხელშეწყობა უნდა იყოს მორალური ბრძანება ყველა ჩვენთვის, არ არის, ყოველივეს გარდა, ჩვენი პროფესიული მოვალეობის თავისუფალი შესრულების აუცილებელი პირობა?

ჟურნალისტთა გაერთიანება მთელ მსოფლიოში იქნებოდა ისეთი ძალა, რომლისთვისაც არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაეწიათ. ეს საჭიროა თვით ჩვენთვის და ძვირფას დახმარებას გაუწევდა აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთგაგების საქმეს. კეთილი ნების ადამიანთა გაერთიანების მეოხებით მეორე საერთაშორისო შეხვედრა დაამტკიცებს ამის შესაძლებლობას და გახსნის ახალ წარმატებათა გზას.

მეგობრული სალამით და საუკეთესო სურვილებით — ჟურნალისტთა თანამშრომლობის საერთაშორისო კომიტეტის ვენის სესიის მონაწილენი:

**დოქტორი კარლ ბიტელი**, ჟურნალისტიკის პროფესორი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა);
**კარლოს ბორშე, ჰუგო როდრიგესი**, ურუგვაელი ჟურნალისტები;
**ლიუბენ ველევი**, ბულგარეთის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე;
**კარლ ავგუსტ ვებერი**, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჟურნალისტი;
**პალ გედეონი**, უნგრეთის ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი;
**მიხალ ჰოფმანი**, პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე;
**მიროსლა დოჩკალი**, ჩეხოსლოვაკიის ჟურნალისტთა კავშირის გენერალური მდივანი;
**ნესტორ იგნატი**, რუმინეთის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე;
**იუჩი კობაიაში**, იაპონიის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე;
**დანიელ კრამინოვი**, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი;
**დანტე კრუიკი**, იტალიელი ჟურნალისტი;
**ოლავი ლაინე**, ფინელი ჟურნალისტი;
**ანა ლუიზა ლოვერა**, ვენესუელის ჟურნალისტთა ასოციაციის თავმჯდომარე;
**ირჟი მეისნერი**, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის (ჩეხოსლოვაკია) გენერალური მდივანი;
**ხოაო ანტონიო მესპლე**, ბრაზილიის ჟურნალისტთა ფედერაციის გენერალური მდივანი;
**ხუან ემილიო პაკული**, ჩილის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე;
**რანა ჯანგ ბაჰადურ სინგი**, ინდოელი ჟურნალისტი;
**ლუის სუარესი**, მექსიკელი ჟურნალისტი;
**ძინ ჯუნ-ხუა**, სრულიად ჩინეთის ჟურნალისტთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე;
**ქ. პ. ჩატურვედი**, ინდოეთის ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე;
**სტეფანე შაცკოვი**, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრი;
**ჟან მორის ერმანი**, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარე (საფრანგეთი).

ვენა, 1959 წლის 22 ნოემბერი.

## კომუნიკე

### დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების მოლაპარაკების შესახებ

**პარიზი**, 21 დეკემბერი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი ვ. სისოევა იუწყება: კომუნიკეში დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების მოლაპარაკების შესახებ, რომელიც დღეს დამთავრდა პარიზში, ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა 1959 წლის 19, 20 და 21 დეკემბრის განმავლობაში ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საკითხებზე, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ. მათ განიხილეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის, განიარაღების საკითხები, აგრეთვე გერმანიის პრობლემა, ამასთანავე ბერლინის საკითხი.

როგორც კომუნიკეს ტექსტიდან ჩანს, დასავლეთის სახელმწიფოები კვლავ ადასტურებენ თავიანთ წინანდელ პოზიციებს ბერლინის საკითხზე, რომლებიც მათ ჩამოაყალიბეს ოთხი სახელმწიფოს 1958 წლის 12 დეკემბრის კომუნიკესა და ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს 1958 წლის 16 დეკემბრის განცხადებაში.

კომუნიკეში შემდეგ ნათქვამია, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, რომ „ოთხთა თათბირი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად ინტერესს წარმოადგენს". პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, პრეზიდენტმა დე გოლმა და პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა ნ. ს. ხრუშჩოვს გაუგზავნეს წერილი და მიმართავენ წინადადებით, რომ ეს თათბირი გაიმართოს 27 აპრილს პარიზში.

დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელები შეთანხმდნენ აგრეთვე პროცედურის შესახებ, რომელიც უნდა დაიცვან ამ თათბირის მომზადების დროს და ამ მიზნით დაადგინეს სათანადო ინსტრუქციები. ამასთან ისინი აცხადებენ, რომ ნატოს საბჭოს ეცნობება დამთავრებული მოლაპარაკების შედეგები, და მასთან მოეწყობა რეგულარული კონსულტაციები.

დასასრულ დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელები გამოთქვამენ იმედს, რომ მომავალი უმაღლესი დონის თათბირი ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას სამართლიანობის პირობებში.




### კაპიტნის ნაამბობი

ყველა პატიოსან ადამიანს თავის მოვალეობად მიაჩნია ამხანაგისადმი ერთგულება და გასაჭირში დახმარება. მაგრამ მე მგონია ამ მოვალეობას სხვადასხვა პროფესიის ადამიანები სხვადასხვანაირი ხალისით და გატაცებით ეკიდებიან. მე მიმაჩნია, რომ ამ მხრივ განსაკუთრებულ სიმტკიცესა და სანაქებო ერთგულებას მეზღვაურები იჩენენ. იქნებ მე მოსაზრებაში ტენდენციურობა დამწამონ, რადგან თვითონ მეზღვაური ვარ. შეიძლება ეს ნაწილობრივ სწორიც იყოს, მაგრამ ოკეანეების სტიქიას მინდობილი ადამიანი, რომელიც არცთუ იშვიათად შეიძლება საფრთხეში ჩავარდეს, მეტად გულისხმიერი ხდება თანამოძმეთა ბედისადმი, და ეს გულისხმიერება ხშირად გმირობად იქცევა. თუნდაც გაიხსენეთ საბჭოთა მეზღვაურების უდიდესი გმირობა 1932 წელს, როცა ინდოეთის ოკეანეში საფრანგეთის გემს „ჟორჟ ფილიპსს" ხანძარი გაუჩნდა...

ამ რამდენიმე კვირის წინათ გაზეთებმა ხალხს საბჭოთა მეზღვაურების გმირობის კიდევ ერთი ამბავი აუწყეს: ანადირის ყურეში გემ „კლარა ცეტკინის" ეკიპაჟმა 547 კაცი გადაარჩინა და ცეცხლს გამოსტაცა თბომავალი „დვინა". ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ეს ამბავი, რადგან გემ „კლარა ცეტკინის" კაპიტანი ჩემი უახლოესი მეგობარი გიორგი ანთიძეა...

მას შემდეგ რამდენიმე დღემ განვლო. ჩემი გემი „ოკა" იაპონიის ერთ-ერთ ნავსადგურში იდგა. სწორედ აქ შევხვდი ჩემს მეგობარს გიორგი ანთიძეს. აი რა მიამბო მან ამ საბრძოლო ოპერაციის შესახებ:

1959 წლის 15 ოქტომბერს 01 საათზე თბომავალი „კლარა ცეტკინი" პორტუგოლნაიაში შევიდა. ცუდი ამინდი იყო. ეკიპაჟი გადმოტვირთვაზე მუშაობდა. ბობოქარი ტალღები ყურეში შემოდიოდა, მუშაობა ძნელდებოდა. მანქანა 15-წუთიან მზადყოფნაში იყო.

ხომალდის დროით 22 საათსა და 48 წუთზე ხომალდის უფროსმა კამჩუკმა გვაცნობა, რომ თბომავალ „დვინიდან" მიღებულია რადიოგრამა, რომელშიც ნათქვამი იყო: SOS თბომავალი, დვინა ანადირის ყურე საავარიო 5/10 2245 ადგილმდებარეობა განედი 63 ნორდი გრძედი 173-30 ოსტი ყველა ხომალდს უგოლნაიას რაიონში დაუყოვნებლივ დაგვეხმარეთ მანქანაში ხანძარია ვაქრობთ ყველა საშუალებებით ტუმბოები არ მუშაობს ბორტზე მგზავრები გვყავს საჭიროა დაუყოვნებლივ დახმარება კაპიტანი ივანოვსკი.

მე იმწუთშივე ავედი კაპიტნის ბოგურაზე. გავეცი ბრძანება დაუყოვნებლივ მოემზადებინათ მანქანა, გამოვაცხადე სახანძრო განგაში, რაციის უფროსს ვუბრძანე თვალყური ედევნებინა „დვინისათვის" ეთერში და დაუყოვნებლივ მიეცა სიგნალი. ეკიპაჟს განკარგულება მიეცა მოეყვანა ხომალდი ცეცხლთან ბრძოლისათვის მზადყოფნაში.

ჩვენს გემზე დიდი ფუსფუსი იყო. ეკიპაჟის ყველა წევრი ცდილობდა რაც შეიძლება სწრაფად მოეყვანა ხომალდი სრულ მზადყოფნაში. უკვე ვხედავდით, როგორ ამოდიოდა თბომავალ „დვინის" სამანქანო მილიდან ცეცხლის ალი. „დვინასთან" მისვლამდე შევადგინე მოქმედების შემდეგი გეგმა.

ამასთან დაკავშირებით, რომ ხანძარი სამანქანო განყოფილებაში მძვინვარებდა და თბომავალ „დვინაზე" სახანძრო ტუმბოები არ მუშაობდა, რადგან უნდა დავეხმარებოდით უნდა მიგვეწოდებინა წყალი „დვინისათვის".

„დვინასთან" მისვლის შემდეგ მთავარი დარტყმა ხანძრის ჩასაქრობად უნდა მიგვემართა სამანქანო განყოფილებაზე და ერთდროულად ბლოკირებული ყოფილიყო ცეცხლი, რათა არ მიგვეცა მისთვის განყოფილებებში გავრცელების საშუალება. საჭირო იყო მოგვეცილებინა ხის ნაგებობა ძგიდესათვის, რომელიც შეერთებული იყო სამანქანო განყოფილებასთან, აგრეთვე განყოფილებებიდან გაგვეტანა ყველა საწვავი ნივთიერება და ტუმბოების ნაწილი მიგვემართა ცეცხლის გავრცელების შესაჩერებლად.

23 საათსა და 35 წუთზე თბომავლიდან მივიღეთ შემდეგი რადიოგრამა: „თქვენი დახმარება წყვეტს ყველაფერს". მოვამზადეთ ორივე სახანძრო ტუმბო რვა შლანგით, ბრეზენტები მოვაძრეთ ყველა საშველ ნავს. გამზადებული იყო მაშველი რგოლები. „კლარა ცეტკინი" მზად იყო „დვინასთან" მისასვლელად.

16 ოქტომბერს 00 საათსა და 05 წუთზე მივუახლოვდით თბომავალ „დვინის" მარცხენა მხარეს.

თბომავლის ილუმინატორებში, კიჩოზე, სამანქანო განყოფილებაში ცეცხლი თარეშობდა. ეკიპაჟის წევრები და მგზავრები ყველა საქრობი საშუალებით ებრძოდნენ ხანძარს.

ჩვენი ეკიპაჟის ყველა წევრი დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. ჩვენი ხომალდი ცეცხლმოკიდებულ „დვინას" 10-12 მეტრით რომ ყოფილიყო დაშორებული, საჭირო იყო საჭეზე მუდმივი დაწოლა. ამასთანავე უწყვეტლივ საყოფაოდ ეკიპაჟის ნაწილები მოეწყვნენ და ასველებდნენ [illegible] ძილი 12 მეტრი [illegible] რადგან წინააღმდ[illegible] ლებოდა შლანგებ[illegible]

1 საათსა და [illegible] გადავიტანეთ 11[illegible] 60-80 მეტრი სიგ[illegible] ბრძოლას ვაწარმ[illegible] ლებით. 01 საათს[illegible] ქანო განყოფილებ[illegible] მაგრამ იქ შესვლ[illegible] რის გამო შეუძლ[illegible] ნაწილი სამანქა[illegible] თვის დავტოვეთ, [illegible] განყოფილებებში [illegible] სწრაფად ვრცელ[illegible] ლებებში. ჩვენი [illegible] ცეცხლი კიჩოს განყოფილებებში — უშედეგოდ დამთავრდა. ცეცხლმა კატასტროფულ ძალას მიაღწია. ალი რამდენიმე მეტრით მაღლა ადიოდა და ილუმინატორებიდან „კლარა ცეტკინის" მხარეზე გამოდიოდა. ჩვენი ხომალდისათვის „დვინასთან" დგომა სახიფათო იყო. გადავწყვიტეთ [illegible] გადმოყვანა. მათ გადასარჩენად საჭირო იყო ჩვენი ხომალდი მჭიდროდ მიგვეყვანა „დვინასთან", [illegible]

ვიცოდით, რომ დაზიანდებოდა ორივე ხომალდის კორპუსები, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო.

გავეცი ბრძანება „დვინიდან" გადმოეგდოთ რაც ლეიბები, საბნები და ბალიშები ჰქონდათ, ე. ი. მთელი რბილი ინვენტარი. შეიქმნა რბილი ადგილი, რითაც გარანტირებული იყო მგზავრის უხიფათოდ გადმოყვანა. გამოვყავით ეკიპაჟის ნაწილი, რომელიც პირდაპირ ჰაერში იჭერდა „დვინიდან" გადმომხტარ ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს. ჩვენი თბომავალი მივიყვანეთ ძალიან ახლოს „დვინასთან" და იმ მომენტში, როცა ჩვენი ხომალდი აიწეოდა ტალღაზე „დვინის" ქიმის გასწვრივ, მგზავრების ჯგუფი 10-15 კაცის შემადგენლობით ხტებოდა რბილ ადგილზე. შემდეგ როცა ჩვენი ხომალდი „დვინასთან" დაჯახების განზე ვარდებოდა, გადმოსვლა წყდებოდა. შემდეგ ისევ მიგვყავდა ხომალდი „დვინასთან", და ეს მეორდებოდა იქამდე, სანამ ყველა მგზავრი არ იქნა გადმოყვანილი.

„დვინიდან" გადმოყვანილ იქნა 510 კაცი, მათ შორის ეკიპაჟის წევრებიც. ბავშვი კი 22 იყო. ამ ოპერაციის შესრულებისას ცეცხლთან ბრძოლა არ შეგვიწყვეტია. გადარჩენილებს ჩვენი ეკიპაჟის წევრებმა დაუთმეს ყველა კაიუტა.

დილის 7 საათსა და 30 წუთზე „დვინიდან" შეგვატყობინეს, მანქანაში ცეცხლი აღარ არის ხოლო კიჩოს განყოფილებებში უკანასკნელი ნარჩენები იწვის.

იმის გამო, რომ „დვინა" ძალიან ბევრ წყალს იღებდა, მისი დახრილობა იზრდებოდა. ვიცოდით, რომ „დვინა" არასაკმარისად მტკიცე იყო, ამიტომ საჭირო იყო წყლის ამოტუმბვა, მაგრამ ჩვენ ამის შესაძლებლობა არ გვქონდა. გადავწყვიტეთ შეგვემცირებინა შლანგების რაოდენობა, წყალი მიგვეწოდებინა მხოლოდ ცეცხლის გავრცელების შესაჩერებლად.

13 საათსა და 30 წუთზე ყველა ზომის მიუხედავად, ცეცხლი მაინც გადავიდა № 2 ტვინდეკში. ცეცხლის ჩასაქრობად გავაძლიერეთ წყლის მიწოდება და 13 საათსა და 40 წუთზე № 2 ტვინდეკში ცეცხლი ჩავაქრეთ. 13 საათსა და 55 წუთზე სამანქანო განყოფილებაში ისევ წარმოიშვა ხანძრის კერა. იერიში სამანქანო განყოფილებაზე მივიტანეთ და 14 საათსა და 10 წუთზე ცეცხლი ლიკვიდირებული იყო. გემის დახრილობა კვლავ იზრდებოდა და 14 საათზე 11 გრადუსს მიაღწია, წყლის ამოტუმბვის საშუალება არ გვქონდა. ისევ შევამცირეთ მისი მიწოდება, ვაწოდებდით მხოლოდ იმ რაოდენობით, რაც საკმარისი იყო ნაწილების დასაცავად. „დვინის" ეკიპაჟი დაღლილობის მიუხედავად სწრაფად, ორგანიზებულად, უშიშრად მოქმედებდა.

14 საათსა და 30 წუთზე ყინულმჭრელმა „მაკაროვმა" დაიწყო მოახლოვება. გადავწყვიტეთ მოგვეცადა. სანამ ყინულმჭრელი მოვიდოდა ორ კაბელტოვზე, შემდეგ სწრაფად გავწეულიყავით, რათა ყინულმჭრელს დაეკავებინა ჩვენი ადგილი. 14 საათსა და 50 წუთზე ყინულმჭრელი მოგვიახლოვდა. მთელი სისწრაფით მოვცილდით „დვინას".

ჩვენი ხომალდის ეკიპაჟმა გასაოცრად მძიმე პირობებში ჩააბარა გამოცდა. მინუსი ტემპერატურის მიუხედავად, მეზღვაურები თავიდან ფეხებამდე სველი იყვნენ, მაგრამ ასრულებდნენ ყველაფერს, რაც საჭირო იყო ხომალდის დასაცავად, მგზავრებისა და „დვინის" გადასარჩენად.

18 საათზე დავამთავრეთ მგზავრების გადაყვანა ნაპირზე. ისინი ძლიერ კმაყოფილი დარჩნენ და თავიანთ მადლობას გვიგზავნიდნენ უამრავი რადიოგრამებით. რაც შეეხება ჩვენს ეკიპაჟს, ყველა წევრი გასაოცარ გმირობას იჩენდა. ძნელია რომელიმე მათგანის გამოყოფა და დასახელება.

„დვინის" ეკიპაჟმა კაპიტან ივანოვსკის მეთაურობით გამოიჩინა განსაკუთრებული გამძლეობა, მამაცობა და ცოდნა ცეცხლთან ბრძოლაში. ასე დაამთავრა თავისი მოთხრობა ხომალდ „კლარა ცეტკინის" კაპიტანმა გიორგი სიმონის-ძე ანთიძემ.

ხომალდ „დვინის" გადარჩენა წარმოადგენს ბრწყინვალე მაგალითს, უსაზღვრო გულისხმიერებას ადამიანის სიცოცხლისათვის, რაც ასე ახასიათებს საბჭოთა პატრიოტებს.

„კლარა ცეტკინის" კაპიტანი ანთიძე, „დვინის" კაპიტანი ივანოვსკი, „კლარა ცეტკინის" მთავარი შტურმანი დოშჩენკო, რომლებმაც გამოიჩინეს გმირობა და გამბედაობა, ბათუმის საზღვაო სკოლის კურსდამთავრებულნი არიან. მათს აღზრდას დიდი ამაგი დასდეს მასწავლებლებმა ნოვიკოვ-ივანოვმა, დვოროვენკომ, მიქელაძემ და სხვებმა.

ვუსურვებთ „კლარა ცეტკინის" სახელოვან ეკიპაჟს შემდგომი წარმატებანი ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**გიორგი ბუაძე,**
შორეული ზღვაოსნობის კაპიტანი,
გემ „ოკას" კაპიტანი.



ხომალდი „კლარა ცეტკინი" ცეცხლმოკიდებულ „დვინას" მიუახლოვდა...

## ყოველი მხრიდან

◆ დ. ეიზენჰაუერი მადრიდში. ◆ დ. ეიზენჰაუერი მაროკოში. ◆ ტრუმენის განცხადება.

**ლონდონი**, 21 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი დღეს მადრიდს ჩავიდა.

**პარიზი**, 22 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი მადრიდიდან თვითმფრინავით გაემგზავრა მაროკოს, რომელიც ევროპისა და აზიის ქვეყნებში მისი მოგზაურობის უკანასკნელი ეტაპია.

**კასაბლანკა**, 22 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი დღეს ჩამოვიდა კასაბლანკაში ხანმოკლე ოფიციალური ვიზიტით მაროკოში.

აეროდრომზე ეიზენჰაუერს შეხვდნენ მაროკოს მეფე მოჰამედ V, პრემიერ-მინისტრი იბრაჰიმი და მაროკოს მთავრობის წევრები.

**ნიუ-იორკი**. 21 დეკემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ინდეპენდენსიდან (მისურის შტატი) იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმება წინადადებას, რომ შეერთებულმა შტატებმა განაგრძოს თავიანთი დროებითი უარი ატომგულის იარაღის გამოცდაზე.

პასუხად თხოვნაზე, გამოეთქვა აზრი დემოკრატიული პარტიის საკონსულტაციო საბჭოს მოწოდებაზე ატომგულის იარაღის გამოცდის დროებითი შეწყვეტის განგრძობის შესახებ, სანამ არსებობს რუსეთთან გამოცდის მუდმივი შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების მიღწევის იმედი, ტრუმენმა განაცხადა: „მე ამის წინააღმდეგი ვარ, მე მიმაჩნია, რომ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ გამოცდის წარმოების უფლება, რათა ვიცოდეთ, რა გვაქვს და რა ვუყოთ ამას".



მარნეულის რაიონის სოფელ იმირის კოლმეურნემ ბაირამ ზეინალოვმა საქართველოს ფულისა და ნივთების მე-4 გამოშვების ლატარიის ბილეთით მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა" მოიგო. გუშინ მას გადაეცა მოგება თბილისის ავტომაღაზიაში.

სურათზე: მაღაზიის სექციის გამგე ო. კვერნაძე (მარცხნიდან მეორე), სახელმწიფო შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს უფროსი კონტროლიორი ნ. კობერიძე, (მარცხნიდან მესამე), სექციონერი ი. მონაშეროვი მანქანას უფორმებენ კოლმეურნე ბ. ზეინალოვს (მარცხნიდან პირველი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# ნეტავ თქვენ, ახალგაზრდებო!

— გამარჯობა, შაქრო, მიიღე მოსაწვევი? — შეეგება ახოვანი ტანის ჭაღარათმიან კაცს მასავით ჭაღარა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გიორგი ჯაბაური და მაგრად ჩამოართვა ხელი, — ერთი ჩვენც გავიხსენოთ ძველი ამბები, ნავთლუღელო, — განაგრძო მან და ირგვლივ მყოფთა დათვალიერება დაიწყო.

— აგერ, ჩვენი გაბო გაბინაშვილი არ არის, წინა რიგში რომ ზის, ნაძალადევის თეატრში რომ მუშაობდა? — გაუხარდა მოხუცს, — აგერ კიდევ ქსენია კამკამიძე, ვიქტორ ნინიძე, ყველანი აქ არიან, — ათვალიერებდა იგი პლეხანოვის სახელობის კლუბში შეკრებილთ.

დარბაზში თითქოს დაუთოვიათ, ყოველ რიგში ნახავდით თმაგადათეთრებულ ქალსა და კაცს. ესენი ძველი სახალხო თეატრების მოღვაწენი იყვნენ. ახლა აქ მოსულან საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოწვევით ახალი სახალხო თეატრების კოლექტივებთან შესახვედრად.

შეხვედრა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ.

ქართული სახალხო თეატრის ტრადიციებისა და ახალი სახალხო თეატრების ამოცანების შესახებ დამსწრეთ ესაუბრა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ბუხნიკაშვილი. მან ვრცლად ილაპარაკა პირველი სახალხო თეატრების — ავჭალის აუდიტორიის, ხარფუხის, ზუბალოვის, მურაშკოს თეატრებში მონაწილე ქართველ, სომეხ, რუს, უკრაინელ და საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების მუშა მსახიობებზე და მოღვაწეებზე, მათ პირველ რეჟისორებზე, ჩვენი ცნობილი მსახიობების, მწერლების, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების დახმარებაზე.

— ჩვენი სახალხო თეატრები, — აღნიშნა მომხსენებელმა, — ეს იყო მუშათა ტრიბუნა, საიდანაც ისინი პიესის გმირების პირით ლაპარაკობდნენ თავიანთ დუხჭირ ცხოვრებაზე, ილაშქრებდნენ მეფის მთავრობის, თავად-აზნაურებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

— ნეტავ თქვენ, ახალგაზრდებო! — ამ სიტყვებით დაიწყო თავისი მოგონება პირველი მუდმივი სახალხო თეატრის მონაწილემ გ. ჯაბაურმა. — ახლა თქვენთვის ზრუნავს პარტია და მთავრობა, თქვენ გაქვთ კეთილმოწყობილი თეატრის შენობები, გყავთ კვალიფიციური დრამატურგები, რეჟისორები, მხატვრები. ჩვენ კი იმ უკუღმართ დროს ასეთ მდგომარეობაზე ოცნებაც არ შეგვეძლო.

ავჭალის აუდიტორიაში, როცა პირველ სპექტაკლებს ვმართავდით, სცენის მოსაწყობად მუთაქებს, ფარდაგებს და სხვა მოწყობილობას სახლებიდან ვეზიდებოდით. ხშირად ბნელ ქუჩებში, ტალახში ამოსვრილები ავდიოდით სცენაზე ან ჰრაქით განათებულ ოთახში გამოვდიოდით მუშების წინაშე.

ბევრი საინტერესო მოგონებით გამოვიდნენ დამსწრეთა წინაშე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. დარისპანაშვილი, მწერალი ს. ავჩიანი, სცენისმოყვარე ე. კუკულაშვილი.

შეხვედრის დასასრულს ძველ სცენისმოყვარეებს უჩვენეს ლენინის რაიონისა და რკინიგზელის სახლთან არსებული სახალხო თეატრების დადგმები.

## ჩვენი სტუმრები

### ავსტრალიელი და ახალზელანდიელი კომუნისტები

22 დეკემბერს თბილისში ჩამოვიდნენ ავსტრალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხ. ლ. შარკი მეუღლითურთ და ახალი ზელანდიის კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი ამხ. რ. სმიტი.

თბილისის ვაგზალში სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ქადაგიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. გ. სანაკოევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკები.

სტუმრები რამდენიმე დღეს დაჰყოფენ საქართველოში. (საქინფორმი).

### რუმინელი ჟურნალისტები

22 დეკემბერს თვითმფრინავით „ტუ-104" მოსკოვიდან თბილისს ჩამოვიდა რუმინელ ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფება სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მოწვევით. მის შემადგენლობაში არიან — რუმინეთის ჟურნალისტთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი და რუმინეთის დეპეშათა სააგენტოს გენერალური დირექტორი ტეოდორ მარინესკუ, გაზეთ „რომინია ლიბერას" მთავარი რედაქტორი მირჩა რედულესკუ, გაზეთ „სკინტეიას" პასუხისმგებელი მდივანი სორინ მლადოვეანუ, ქალაქ დევას გაზეთ „პუტ სოციალიზმას" მთავარი რედაქტორი იონ სირბუ.

თბილისის აეროდრომზე მოძმე რუმინეთიდან ჩამოსულ სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი ი. ხხიკვიშვილი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრები საქართველოს დეპეშათა სააგენტოს დირექტორი დ. მაისურაძე, გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქტორი ა. ბლრციანი, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" რედაქტორი გ. ფირცხალავა, გაზეთ „თბილისის" რედაქტორი ნ. ჯაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი კ. ლოლაძე და სხვები.

საქართველოში რამდენიმე დღის განმავლობაში ყოფნისას რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პრესის მუშაკები გაეცნობიან რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებას, თავისი ქართველი კოლეგების და მათი შემოქმედებითი ორგანიზაციის — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საქმიანობას. (საქინფორმი).

## სპორტი

### დამთავრდა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

**ლიეპაია**, 22 დეკემბერი. (სპეც. კორ.). დღეს დილით მოეწყო ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელ, მე-19 ტურში გადადებული პარტიების დამთავრება.

ხუთი გადადებული პარტიიდან ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა ს. როოტარესა და ლ. იაკირის პარტია. ს. როოტარემ შესანიშნავად ჩაატარა ენდშპილი და გაიმარჯვა. თ. დმიტრიევამ მოუგო ა. რუბინჩიკს. ო. რუბცოვა - ნ. ვოიცეკის, ა. კუშნირ - ნ. კოლოტისა და კ. სკეგინაზ. ნახიმოვსკაიას პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, შეივსო ქალთა საჭადრაკო პირველობის ცხრილის უკანასკნელი უჯრედები, გამოვლინდა პრიზიორები.

ლ. ვოლპერტის გამარჯვება სავსებით დამსახურებულია. იგი პირველობისათვის მებრძოლ მოჭადრაკეთა შორის ერთადერთია, რომელსაც არც ერთი დამარცხება არ განუცდია. 6 მოგება, 12 ყაიმი — ასეთია ახალი ჩემპიონის შედეგი. ლ. ვოლპერტმა მეორეჯერ მოიპოვა ზედიზედ სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო ტიტული.

მეჭადრაკე ქალთა უმცროსი და უფროსი თაობის წარმომადგენლებმა ტ. ზატულოვსკაიამ (ბაქო) და ს. როოტარემ (ტალინი) თერთმეტნახევარ-თერთმეტნახევარი ქულით მეორე და მესამე საპრიზო ადგილები გაინაწილეს. ამ მოჭადრაკეებმა გამოამჟღავნეს ბრძოლის შეტევითი სტილი, ნებისყოფა, გამარჯვებისაკენ შეუნელებელი სწრაფვა.

მეოთხე ადგილზეა თ. დმიტრიევა (ლენინგრადი, 11 ქულა), მეხუთეზე — ა. კუშნირი (მოსკოვი, 10,5 ქულა), მეექვსეზე — ო. სემიონოვა (ლენინგრადი, 10 ქულა). ნ. გაფრინდაშვილს (თბილისი), ლ. ბელავენეცს (მოსკოვი) და ნ. ვოიცეკს (მოსკოვი) ცხრანახევარ-ცხრანახევარი ქულა აქვთ, მ. ტოგონიძესა (თბილისი) და ნ. კოლოტის (მოსკოვი) — ცხრა-ცხრა ქულა, კ. სკეგინას (ტულა) და ლ. იაკირს (კიევი) — რვანახევარ-რვანახევარი ქულა, ო. რუბცოვას (მოსკოვი) — 8 ქულა, ვ. ტიხომიროვას (მოსკოვის ოლქი) — 7,5 ქულა, ზ. ნახიმოვსკაიას (რიგა), ე. კაკაბაძეს (თბილისი) და ა. ვიტკოვსკაიას (ვინიცა) — ექვსნახევარ-ექვსნახევარი ქულა, ა. რუბინჩიკს (კიევი) — 6 ქულა.

დღეს საღამოს შედგა ჩემპიონატის საზეიმო დახურვა, გამარჯვებულთა დაჯილდოება.

პრიზები მიიღეს: ტ. ზატულოვსკაიამ — ახალგაზრდა მოჭადრაკეთა შორის უკეთესი შედეგისათვის და ყველაზე მეტი მოგებისათვის, ს. როოტარემ — საუკეთესო ენდშპილისათვის (ლ. იაკირთან პარტიაში), თ. დმიტრიევამ — ყველაზე ლამაზი პარტიისათვის (ტ. ზატულოვსკაიასთან), ა. კუშნირმა და თ. დმიტრიევამ — ოსტატთა წინააღმდეგ საუკეთესო შედეგებისათვის (ოთხნახევარ-ოთხნახევარი ქულა 7-დან).

### ბლიცტურნირი მოიგო ტალმა

**რიგა**, 21 დეკემბერი. (საკდესი). ბალტიისპირა ქვეყნების საერთაშორისო საჭადრაკო მატჩის დამთავრების გამო აქ მოეწყო ბლიცტურნირი, რომელშიც თამაშობდა შეჯიბრების მონაწილე 18 მოჭადრაკე. ტურნირში შესანიშნავი შედეგი აჩვენა მიხეილ ტალმა. მან მოიგო 16 პარტია და მხოლოდ ერთი — ესტონეთის ჩემპიონ ნეის წინააღმდეგ — ყაიმით დაამთავრა. მეორე ადგილი დაიკავა ლატვიელმა ოსტატმა გიპსლისმა, რომელმაც 13,5 ქულა მოაგროვა. ბლიცტურნირის უცხოელ მონაწილეთა შორის საუკეთესო შედეგი უჩვენა ნორვეგიის ჩემპიონმა იოჰანესენმა.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

## თეატრი

**23 დეკემბერი**

**ოპერისა და ბალეტის** — დაისი (მე-10 აბონ. მე-6 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ერთხელ დახოცილები, **მარჯანიშვილის სახელობის** — ორი ფერი, **გრიბოედოვის სახელობის** — ყველაფერი ხალხში რჩება (მე-5 აბონ. მე-3 წარმ.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომედია ბ-2 (მე-12 აბონ., 2 ს. აბონ. № 21. 3 ს.).

**რუსთაველის სახელობის**, ამირანი, **ოქტომბრი**, ისანი, სპარტაკი, თბილისი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი**, **უაზბეგი** — კაბირიას ღამეები, **კომკავშირელი**, **დიდუბე**, **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — მე თქვენ გწერთ, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი**, **კოლმეურნე** — დავა ლუკაშებში.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 08023 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.